

განვითარებისა და ჩართულობის პლატფორმა

უმაღლესი და პროფესიული განათლების მიღების ბარიერები
ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფის წარმომადგენელი
ახალგაზრდებისთვის საქართველოში

კვლევის ანგარიში



ევროკავშირი
საქართველოსთვის



EaP | Eastern Partnership



კონტრიბუტორები:

ხატია მამუკაშვილი - პროექტის ავტორი და მკვლევარი

თამუნა გურჩიანი - კვლევის ექსპერტი

თეონა ოთარაშვილი - მონაცემთა ანალიტიკოსი, სტატისტიკოსი

პუბლიკაცია მომზადებულია განვითარებისა და ჩართულობის პლატფორმის მიერ კვლევითი პროექტისთვის „უმაღლესი და პროფესიული განათლების მიღების ბარიერები ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფის წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის საქართველოში“, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების სტიპენდიის პროგრამის ფარგლებში.

ეს პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

© ყველა უფლება დაცულია. პუბლიკაციის გამოყენება და გავრცელება ნებადართულია წყაროს მითითების შემთხვევაში.

მამუკაშვილი ხ., 2023. უმაღლესი და პროფესიული განათლების მიღების ბარიერები ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფის წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის საქართველოში



ევროკავშირი
საქართველოსთვის



სარჩევი

სარჩევი.....	2
წინასიტყვაობა	3
შესავალი.....	4
კვლევის მეთოდოლოგია.....	5
კვლევის მიზანი.....	5
კვლევის ამოცანები	5
კვლევის დიზაინი.....	6
კვლევის შეზღუდვები.....	6
ძირითადი მიგნებები	Error! Bookmark not defined.
კვლევის შედეგები	7
სამაგიდე კვლევა.....	9
თვისებრივი და რაოდენობრივი კომპონენტი.....	16
განათლების როლი და მნიშვნელობა.....	16
ოჯახის მხარდაჭერის როლი უწყვეტად განათლების მიღების პროცესში	17
სახელმწიფო ენის ცოდნის როლი.....	19
გამოწვევები ზოგადი განათლების მიღების პროცესში	24
სრული ზოგადი განათლების გარეშე სკოლიდან გამოსვლა (Drop out) და სწავლის არ გაგრძელების გადწყვეტილება	29
სახელმწიფო ენის შემსწავლელი პროგრამები.....	32
გამოწვევები უმაღლესი განათლების მიღების პროცესში	34
დასკვნა და რეკომენდაციები	38

წინასიტყვაობა

ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფის წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის უმაღლესი და პროფესიული განათლების მიღების ბარიერების შეფასების კვლევა ჩატარდა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების პროგრამის ფარგლებში. კვლევითი პროექტის მიზანს წარმოადგენს განათლების როლისა და მნიშვნელოვნების განსაზღვრა საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდებისთვის, იმ გამოწვევებისა და ბარიერების იდენტიფიცირებისა და შეფასების გზით, რომლებიც იწვევს სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფის წარმომადგენლების მიერ სკოლის მიტოვებას/არ დასრულებას და აფერხებს მათ უმაღლესი და პროფესიული განათლების მიღებაში.

დოკუმენტი წარმოადგენს აღნიშნულ საკითხზე განხორციელებული კომპლექსური კვლევის ანგარიშს, რომელიც გვთავაზობს ერთის მხრივ სტუდენტებისა და მოსწავლეების გამოცდილებების, მათ მიერ დანახული გამოწვევების და სირთულეების გადალახვის პროცესის, ხოლო მეორეს მხრივ, ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფის განათლების ხარისხზე პასუხისმგებელ ინსტიტუციებში დასაქმებული ექსპერტების მოსაზრებების და შეფასებების ანალიზს.

კვლევითი პროექტი რვა თვის განმავლობაში ხორციელდებოდა და ავტორების გარდა, მასში სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელმა ბევრმა ადამიანმა შეიტანა წვლილი. კვლევის ავტორი მადლობას უხდის ყველა ექსპერტს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო სიდრმისეულ ინტერვიუში, ფოკუს ჯგუფებისა და რაოდენობრივი კვლევის კომპონენტებში ჩართულ ყველა ახალგაზრდას, გულწრფელობისა და გამოცდილებების ღიად გაზიარებისთვის, კვლევის ექსპერტებს, მონაცემთა ანალიტიკოსსა და ინტერვიუერებს გაწეული შრომისთვის.

შესავალი

თანამედროვე საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა. 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით ქართველები ქვეყნის მოსახლეობის 87%-ს, ხოლო სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები: აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები, ოსები, იეზიდები, ბერძნები, ქისტები, უკრაინელები, აფხაზები და 13%-ს შეადგენენ. საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა წარმომავლობის მქონე ადამიანებს შორის ორი ყველაზე დიდი ჯგუფი სომხური და აზერბაიჯანული ეთნოსის წარმომადგენლები არიან. უმეტესწილად სომეხი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები კომპაქტურად სამცხე ჯავახეთის რეგიონში, ხოლო აზერბაიჯანული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები ქვემო ქართლის ქალაქებსა და სოფლებში არიან დასახლებული.

იმის გამო, რომ ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობა ძირითადად მჭიდროდ არის დასახლებული საკუთარი ეროვნული ჯგუფით დაკომპლექტებულ საზოგადოებაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში მათ ნაკლებად უწევთ ქართველებთან ან სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან ურთიერთობა. თუმცა მაშინაც კი, როდესაც ტერიტორიულად თანაცხოვრობენ (მაგალითად ახალციხეში ქართველები და სომხები, მარნეულში ქართველები, აზერბაიჯანელები და სომხები და ა.შ.), როგორც განწყობების, ასევე ყოფა-ცხოვრების კუთხით არადომინანტური ჯგუფები უმრავლესობისგან ერთგვარად განცალკევებულნი არიან.

მთავარი გამოწვევა, რაც ეთნიკურად არაქართველ მოსახლეობას ხელს უშლის წვდომა ჰქონდეს ჯანდაცვის და სოციალურ სერვისებზე, მიიღოს ინფორმაცია და აქტიურად ჩაერთოს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში, ენობრივი ბარიერია.

მაშინ, როცა მოსწავლეები საკუთარი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებით დასახლებულ, არაქართულენოვან ქალაქებსა და სოფლებში ცხოვრობენ, ქართველებთან ურთიერთობის შესაძლებლობა ნაკლებად აქვთ და შესაბამისად, მათი კომუნიკაციის ძირითადი ენა მშობლიურია, განსაკუთრებული მნიშვნელობა სახელმწიფო ენის სწავლების კუთხით, სწორედ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ენიჭება.

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, იმ მოქალაქეებს, რომელთათვისაც ქართული არ არის მშობლიური ენა, აქვთ უფლება, რომ ზოგადი განათლება საკუთარ მშობლიურ ენაზე მიიღონ, არაქართულენოვან სკოლებში სახელმწიფო ენის სწავლება² და და საზოგადოებრივი მეცნიერებების ქართულ ენაზე უნდა სწავლება სავალდებულოა.¹ საქართველოში რეგისტრირებული 2 302 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან, 10% არაქართულენოვანი - აზერბაიჯანული, სომხური ან რუსულია. სკოლის ასაკის ახალგაზრდები, სომხური და აზერბაიჯანული თემიდან, ერთეული გამონაკლისების გარდა ზოგად განათლებას საკუთარ მშობლიურ ენაზე იღებენ. იმის გამო, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლა ქართულ ენაზე მიმდინარეობს, სახელმწიფო ენის ცოდნის კომპეტენცია კი საკმაოდ დაბალია, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ახალგაზრდები, ამ მხრივაც გამოწვევის წინაშე დგებიან.

ქვემოთ მოცემული კვლევის ინტერესის საგანს წარმოადგენდა იმის შესწავლა რა ბარიერებს აწყდებიან ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდები საქართველოში ზოგადი

¹ საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 4, პუნქტი 3 და 4. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=98>

² საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 5, პუნქტი 2 და 3. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=98>

განათლების მიღების პროცესში და რა გამოწვევები ექმნებათ მათ სწავლის შემდგომ საფეხურებზე გაგრძელების სურვილის შემთხვევაში.

კვლევის მეთოდოლოგია

ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფის წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის უმაღლესი და პროფესიული განათლების მიღების ბარიერების კვლევა საქართველოში 2023 წლის მარტიდან დაიწყო, სავალე სამუშაოები კი აპრილი - სექტემბრის პერიოდში მიმდინარეობდა.

საკითხის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, კვლევა კომპლექსურია და რამდენიმე კომპონენტისგან შედგება:

- ✓ სამაგიდე კვლევის კომპონენტი (მარტი - სექტემბერი 2023);
- ✓ თვისებრივი კვლევის კომპონენტი, რომელიც თავის მხრივ ორ ნაწილს, ფოკუს ჯგუფებს და ექსპერტულ ინტერვიუებს მოიცავს (აპრილი - სექტემბერი 2023);
- ✓ რაოდენობრივი კვლევის კომპონენტი (ავგისტო -სექტემბერი 2023);

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმ გამოწვევების და ბარიერების შესწავლა, რის გამოც ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდები ვერ და/ან არ აგრძელებენ სწავლას პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, რესპონდენტებად შეირჩნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ და ჩართულნი არიან ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფის საგანმანათლებლო პროცესებში.

კვლევის ამოცანები

იმისთვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღების კუთხით ეთნიკური უმცირესობების ბარიერების შესწავლა და საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან განხილვა და ანალიზი, განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

- განათლების მნიშვნელობის, აქტუალურობის განსაზღვრა ინდივიდუალურ, ოჯახის და სოციუმის დონეზე;
- ზოგადი განათლების მიღების პროცესი და ახალგაზრდების გამოცდილება სკოლაში სწავლის პროცესში, მათი თვალთ დასახული არსებული გამოწვევების გააზრება;
- პროფესიული განათლების მიღებისადმი ინტერესის და საჭიროების კუთხით არსებული გამოწვევების განსაზღვრა;
- სკოლიდან უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებამდე გარდამავალი პერიოდის, სახელმწიფო ენის შემსწავლელი პროგრამების ეფექტურობისა და შეზღუდვების შეფასება;
- ეთნიკური უმცირესობების მიერ უმაღლესი განათლების მიღების, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (უსდ) სწავლა-სწავლების პროცესში მონაწილეობისა და ჩართულობის სპეციფიკის ანალიზი.

კვლევის დიზაინი

კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე და მიზნის მისაღწევად, გამოყენებული იქნა კომპლექსური მიდგომა.

პირველ ეტაპზე სამაგიდე კვლევის ფარგლებში, კვლევის გუნდმა შეისწავლა ეთნიკური უმცირესობების განათლებასთან დაკავშირებული არსებული კანონები, რეფორმები, ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევის ანგარიშები და რეკომენდაციები, ამ საკითხზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ინსტიტუციების წლიური ანგარიშები და ა.შ.

მეორე ეტაპს თვისებრივი კომპონენტი წარმოადგენდა. ამ კომპონენტში კვლევის გუნდმა კომბინირებულად გამოიყენა ფოკუს ჯგუფების და ექსპერტული ინტერვიუს მეთოდები. კვლევის ფარგლებში ჩატარდა 8 ფოკუს ჯგუფურ დისკუსია, 4 სამცხე-ჯავახეთის, ხოლო 4 ქვემო ქართლის წარმომადგენელ, ეთნიკურად სომეხ და აზერბაიჯანელ ახალგაზრდებთან. კვლევის ამ კომპონენტში 58-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა, სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდით გამოიკითხა 8 დარგის ექსპერტი, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციის, ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურს ცენტრის, ზოგადი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ და ჩართულნი არიან ეთნიკური უმცირესობების განათლების ან/და კვლევის პროცესში.

კვლევის მესამე ეტაპზე რაოდენობრივი მეთოდით გამოიკითხა 200 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მოსწავლე და სტუდენტი, სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის 7 მუნიციპალიტეტიდან.

კვლევის შეზღუდვები

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, კვლევის მონაწილეებად შერჩეულნი არიან ის ადამიანები, რომლებიც უშუალოდ არიან/იყვნენ ჩართული განათლების მიღების პროცესში. ამ კვლევისთვის საინტერესო იყო მათი უკუკავშირის, გამოცდილების და ხედვის შესწავლა არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ანგარიშში მოყვანილი მონაცემები, რესპონდენტების პირად და სუბიექტურ გამოცდილებებს ასახავს.

გუნდის ძალისხმევის მიუხედავად, თვისებრივი კომპონენტის, ექსპერტული ინტერვიუს ნაწილში ვერ მოხერხდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლებთან გასაუბრება.

კვლევის რაოდენობრივ კომპონენტს არ აქვს პრეტენზია რეგიონის მიხედვით რეპრეზენტატიულობაზე, კვლევის შედეგების განზოგადება რეგიონის ქრილში არ არის რეკომენდირებული.

ძირითადი მიგნებები

<p>ოჯახის მხარდაჭერის მნიშვნელობა განათლების უწყვეტად გაგრძელების პროცესში</p>	<p>სამცხე-ჯავახეთში რესპონდენტების 78%, ხოლო ქვემო ქართლში 75% აღნიშნავს, რომ ოჯახის მხარდაჭერას მათ მიერ განათლების მიღებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს;</p> <p>მხარდაჭერის ემოციური კომპონენტი ახალგაზრდებს ხელს უწყობს, რომ დაისახონ მიზნები და შეიქმნან მოტივაცია მომავალი წარმატების მისაღწევად;</p> <p>მხარდაჭერის ფინანსური კომპონენტი, უმაღლესი განათლების მიღების მთავარი წინაპირობაა;</p>
<p>ენობრივი ბარიერი</p>	<p>კვლევის მონაწილეების 45% აღნიშნავს, რომ სრულყოფილად (19%) ან ნაწილობრივ (26%) შეუძლია ქართულ ენაზე მოსმენა, გაგება, საუბარი და წერა კითხვა, 39% ამბობს, რომ მოსმენა და გაგება შეუძლიათ, მაგრამ საუბარი უჭირთ, ხოლო დანარჩენი 17%-იდან, 13%-ს მხოლოდ ცალკეული სიტყვები ესმის, 4%-ს საერთოს არ შეუძლია ქართულ ენაზე მოსმენა, გაგება, საუბარი და წერა-კითხვა.</p> <p>სახელმწიფო ენის ცოდნა ეთნიკურად არადომინანტურ ჯგუფებს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. უმარტივეს ყოველდღიურ ცხოვრებას; 2. აძლევს განათლების მიღების შესაძლებლობას; 3. ეხმარება ინტეგრაციაში.
<p>ზოგადი განათლების საფეხურზე სწავლის გამოწვევები</p>	<ul style="list-style-type: none"> ➢ არაქართულენოვანი სკოლების უმეტესობაში სახელმწიფო ენის სწავლება, აღქმულია როგორც უცხო ენის სწავლება და ისწავლება ისეთი პედაგოგების მიერ, ვინც ქართული კომუნიკაციის დონეზეც კი არ იცის; ➢ ქართული ენის სწავლების კუთხით, არ არსებობს სისტემური მიდგომა. საგანმანათლებლო დაწესებულებები სრულიად დამოკიდებულნი არიან მასწავლებლის კეთილ ნებაზე; ➢ წლების განმავლობაში სასკოლო სახელმძღვანელოები შემოდიოდა სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან, შესაბამისად არ იყო სტანდარტიზირებული ქართულენოვან სკოლებთან მიმართებით. 2022 წლისთვის მე-10 კლასამდე მოსწავლეები საქართველოში დაბეჭდილი წიგნებით სწავლობენ, მე-10 კლასის ზემოთ, ისევ სომხეთის და აზერბაიჯანის მთავრობის მიერ ხდება სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა; ➢ არაქართულენოვან სკოლებში, განსაკუთრებით სოფლად, საგნებს სხვა საგნის სპეციალისტები ასწავლიან; ➢ პედაგოგებს დირექტორები ხშირად ირჩევენ სუბიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით და ხშირად ადგილი აქვს ნეპოტიზმსაც; ➢ სკოლის მართვის და ადმინისტრირების ნაწილში არ არის უზრუნველყოფილი მასწავლებლის, მშობლის და მოსწავლის არა მხოლოდ ჩართვა, არამედ ყველა მხარის ინტერესების გათვალისწინებაც კი; ➢ სკოლა ვერ უზრუნველყოფს მოსწავლისთვის საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;

	<ul style="list-style-type: none"> ➤ მოსწავლეებს, ხშირად დირექტორის ერთპიროვნული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე არ ეძლევათ არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართვის საშუალება; ➤ ზოგადი განათლება ვერ უზრუნველყოფს მოსწავლის მომზადებას უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდებისთვის. მოსწავლეებს სჭირდებათ რეპეტიტორთან სიარული იმისთვის რომ უმაღლეს საფეხურზე სწავლის გაგრძელება შეძლონ;
<p>სახელმწიფო შემსწავლელი პროგრამები</p>	<p>ენის</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ 1+4 საგანმანათლებლო პროგრამა არის არასტანდარტიზირებული და განსხვავებულია ყველა უნივერსიტეტში; ➤ სახელმწიფო ენაში მოსამზადებელი პროგრამა არის ფასიანი და სწავლის საფასური საბაკალავრო საფეხურის 1 წლის საფასურს შეადგენს; ➤ პროგრამები, რომლებზეც ინტეგრაციის კომპონენტზე ისევეა გამახვილებული ყურადღება, როგორც ენის სწავლის კომპონენტზე, განსაკუთრებულად ეფექტურია; ➤ ეფექტურია სახელმწიფო ენის ის პროგრამები, რომელზეც სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მქონე ახალგაზრდები ერთად სწავლობენ; ➤ თუ ახალგაზრდას საშუალო განათლებიდან არ აქვს ცოდნის გარკვეული ბაზა, ერთწლიანი სახელმწიფო ენის შემსწავლელი პროგრამები არ არის ეფექტური;
<p>გამოწვევები განათლების პროცესში</p>	<p>უმაღლესი მიღების</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ უმაღლესი განათლების მიღების საფეხურზე ბევრი ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფის წარმომადგენელს პირველად ეძლევა ქართული ენის სწავლის, სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან კომუნიკაციის, არაფორმალურ საგანმანათლებლო და არასაგანმანათლებლო აქტივობებში ჩართვისა და სოციალიზაციის შესაძლებლობა; ➤ ლექტორების პროფესიონალიზმი, ახალგაზრდებისგან ფასდება მათი საგნის ექსპერტობით, ხოლო მათი უხეში და არაადეკვატური დამოკიდებულება ხშირად სიმკაცრეს ეწერება; ➤ ცალკეული სამართლიანი, კეთილსინდისიერი და გულისხმიერი ლექტორების შემთხვევები იმდენად იშვიათია, რომ ახალგაზრდებს დეტალურად შეუძლიათ ამ გამოცდილებების გახსენება; ➤ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, ხშირად ფიქსირდება ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის გამოცდილებები, როგორც დომინანტური ჯგუფის წარმომადგელი სტუდენტების, ასევე ლექტორების მხრიდან; ➤ საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი ხშირად არის აცდენილი შესასწავლ საგანს და სტუდენტი სრულფასოვნად ვერ იღებს იმ ცოდნასა და უნარებს, რომელიც უნდა გამოადგეს პროფესიული საქმიანობის დროს;

კვლევის შედეგები

სამაგიდე კვლევა

იმ ბარიერებისა და გამოწვევების შესწავლა, რომელსაც საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდები პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღების პროცესში აწყდებიან, სამაგიდე კვლევით დავიწყეთ. ამ ქვეთავში მოცემული ინფორმაციის მიზანია, მიმოიხილოს ის გარემოებები და კონტექსტი, რომელშიც ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფის წარმომადგენელ საქართველოს მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა, რომ მიიღონ წვდომა განათლების სხვადასხვა საფეხურზე.


საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურად არადომინანტურ ჯგუფებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკურად სომეხი და ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობაა. მათი რაოდენობა ქვეყნის პოპულაციის 11%-ს შეადგენს, საიდანაც 4.5% ეთნიკურად სომეხი (168 102 ადამიანი)¹, ხოლო 6.3% ეთნიკურად აზერბაიჯანელია (233 024 ადამიანი).

ეთნიკურად აზერბაიჯანული მოსახლეობა ძირითადად თბილისსა და საქართველოს ოთხ რეგიონშია თავმოყრილი: ქვემო ქართლში, კახეთში, შიდა ქართლსა და მცხეთა მთიანეთში³. (ცხრილი 1.1 და 1.2).

ცხრილი 1.1. რეგიონსა და მუნიციპალიტეტებში ეთნიკურად აზერბაიჯანული მოსახლეობის განაწილება		
რეგიონი	ეთნიკურად აზერბაიჯანული მოსახლეობის რაოდენობა რეგიონში	ეთნიკურად აზერბაიჯანული მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა რეგიონში
თბილისი (დედაქალაქი)	15,187	1.4 %
ქვემო ქართლი	177,032	41.8 %
• მარნეული	87,371	83.7 %
• გარდაბანი	35,642	43.5 %
• ბოლნისი	33,964	63.4 %
• დმანისი	12,530	65.5 %
• რუსთავი	4,661	3.7 %
• თეთრიწყარო	1,548	7.3 %
• წალკა	1,316	7 %
კახეთი	32,354	10.2 %
• საგარეჯო	17,164	33.2 %
• ლაგოდეხი	9,601	23 %
• თელავი	4,945	12.8 %
შიდა ქართლი	5,501	2.1 %
• კასპი	3,846	8.8 %
• ქარელი	1,124	2.7 %
მცხეთა-მთიანეთი	2,316	2.4 %
• მცხეთა	2,301	4.8 %
სულ საქართველოში	233,024	6.3 %

³ ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა რთულია, რადგან მათი ნაწილი ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს.


⁴ იგულისხმება ის რეგიონები, რომლებიც აზერბაიჯანული მოსახლეობა 1000 ადამიანზე მეტია.



რაც შეეხება ეთნიკურად სომეხ მოსახლეობას, მათი რაოდენობა დედაქალაქის გარდა საქართველოს ექვს რეგიონში ნაწილდება: სამცხე-ჯავახეთში, ქვემო და შიდა ქართლში, კახეთში, აჭარაში, გურიასა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე⁵. (ცხრილი 2.1 და 2.2).

ცხრილი 2.1. რეგიონსა და მუნიციპალიტეტებში ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის განაწილება		
რეგიონი	ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის რაოდენობა რეგიონში	ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა რეგიონში
თბილისი (დედაქალაქი)	53,409	4.80%
სამცხე-ჯავახეთი	81089	50.52%
• ახალქალაქი	41870	92.9 %
• ახალციხე	12028	28.4 %
• ნინოწმინდა	23262	95 %
• ადიგენი	372	2.3 %
• ბორჯომი	2176	8.6 %
• ასპინძა	1381	13.3 %
ქვემო ქართლი	21500	5.07%
აჭარა	5461	1.60%
კახეთი	2191	0.70%
შიდა ქართლი	2072	2.07%
გურია	1228	1.08%
აფხაზეთი (2003 წელი)	44870	23.75%
• გაგრა	16322	4680.00%
• გულრიფში (კოდორის ხეობის გარდა)	9375	4700.00%
• სოხუმი	7209	6140.00%
• ქალაქი სოხუმი	5565	1270.00%
• გუდაუთა	4141	1270.00%

•ოჩამჩირე	2177	880.00%
•ტყვარჩელი	67	50.00%
•გალი	14	10.00%
სულ საქართველოში	168,191–220,000	4.50%



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონები ეთნიკურად არაადომინანტური ჯგუფებით ყველაზე მჭიდროდაა დასახლებული. ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობა ქვემო ქართლის პოპულაციის 41.8% (ცხრილი 1.2), ხოლო სომხური ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის 50.8% (ცხრილი 2.2) შეადგენენ.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, სამიზნე ჯგუფად სწორედ ამ ორი რეგიონის წარმომადგენელი ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდები შეირჩინენ.

ეროვნული უმცირესობების მჭიდროდ თავმოყრას კონკრეტულ რეგიონებში ქართული მოსახლეობის ნაწილი სკეპტიციზმით უყურებს და ზოგიერთ შემთხვევაში საფრთხედაც კი მიიჩნევს⁵, რადგან სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი სასაზღვრო რეგიონებია. მეორეს მხრივ, ეთნიკურად არაადომინანტური ჯგუფების კომპაქტურად დასახლება მხოლოდ საკუთარი კულტურის წარმომადგენლების გვერდით და უმრავლესობის მხრიდან მხარდაჭერის ნაკლებობა ხელს უწყობს აზერბაიჯანული და სომხური წარმომავლობის მქონე მოსახლეობის იზოლირებას ქვეყნის სოციო-პოლიტიკური და კულტურული პროცესებიდან.

⁵ საქართველოს რეგიონებში ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის განაწილება მოცემულია 2014 წლის საყოველთაო აღწერის საფუძველზე, გამონაკლისს წარმოადგენს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორია, სადაც აღწერის მონაცემები 2003 წლით თარიღდება.


⁶ რუსუდან ამირეჯიბი, კახა გაბუნია, 2021, საქართველოს უმცირესობები: ინტეგრაციის გზაზე არსებული ბარიერების წგრევა.

საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ, თანამედროვე მსოფლიოში საქართველოს დამოუკიდებელ, თავისუფალ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესი საქმაოდ ქაოტური იყო. სოციო-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა გამოწვევებმა კიდევ უფრო გააღრმავა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში გაჩენილი ეთნო-ნაციონალისტური ტენდენციები. მით უფრო, რომ საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების მქონე ადამიანებს ჰქონდათ საერთო ენა, რომელიც იძლეოდა არა მხოლოდ ერთმანეთთან კომუნიკაციის შესაძლებლობას, არამედ უხსნიდა მათ გზას განათლებისა და კარიერული/პროფესიული განვითარებისკენ. ცხადია, საბჭოთა საქართველოში ქართული ენის სწავლება, ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფებისთვის, პრიორიტეტს არ წარმოადგენდა და შესაბამისად არ იყო წახალისებული. მას შემდეგ, რაც რუსულმა საქართველოში სახელმწიფო ენის სტატუსი დაკარგა, ნათელი გახდა, რომ ქართულის ცოდნა წარმატების მიღწევის ერთ-ერთი წინაპირობა გახდებოდა. ეს ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი მოსახლეობისთვის საქმაოდ დიდ გამოწვევას წარმოადგენდა, რადგან მათ არ ჰქონდათ ენის ცოდნის საკმარისი დონე. სწორედ საბჭოთა მემკვიდრეობაა ისიც, რომ დღესაც, ათეულობით წლის შემდეგ, ქართულის ცოდნა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული არა მხოლოდ სოფლებში, ქალაქებში მცხოვრები მოსახლეობისთვისაც ერთ-ერთ ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს.

საქართველოს მოქალაქე ყველა ადამიანისთვის განათლების მიღების უფლებას საქართველოს კონსტიტუცია, კერძოდ 27-ე მუხლი „ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება“ უზრუნველყოფს.⁷ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებისთვის განათლების თანაბარ შესაძლებლობებს განსაზღვრავს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.⁸

საქართველოს განათლების სისტემა შემდეგ საფეხურებს (ცხრილი 3) მოიცავს: სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება.

ცხრილი 3. განათლების საფეხურები საქართველოში



⁷ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

⁸ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=98>

წინამდებარე კვლევა გვაძლევს საშუალებას, განვიხილოთ ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფის წარმომადგენელი ახალგაზრდების გამოწვევები, როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურებზე.

ზოგადი განათლების მიღება საქართველოში არაქართულ ენაზე შესაძლებელია სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ სკოლებში, ან ქართულენოვანი სკოლების სხვადასხვაენოვან სექტორებზე.⁹ 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში, საქართველოში 2086 საჯარო სკოლაა. 2021-2022 სასწავლო წლის მონაცემებზე დაყრდნობით, არაქართულენოვანი სკოლები საქართველოს საჯარო სკოლების 10%-ს შეადგენს და რაოდენობა 207-ია.¹⁰ მათ შორის 130-ში სასწავლო პროცესი სომხურ ენაზე მიმდინარეობს¹¹ ან აქვს სომხურენოვანი სექტორი, 82 აზერბაიჯანულენოვანი, ხოლო 29 ქართულ-აზერბაიჯანული სკოლაა.¹²

ზოგადი განათლების შესახებ კანონი არაქართულენოვან სკოლებს ავალდებულებს სახელმწიფო ენის სწავლებას, ამავე კანონით რეგულირდება საზოგადოებრივი მეცნიერებების ქართულ ენაზე სწავლებაც.¹³ 2003-2004 წლიდან ზოგადი განათლების კუთხით დაგეგმილი არაერთი რეფორმა, ცხადია, არაქართულენოვან სკოლებზეც ვრცელდება. დღემდე გამოწვევად რჩება არა მხოლოდ ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, ასევე სომხური და აზერბაიჯანული ენების, როგორც მშობლიური ენის სწავლების საკითხი. პრობლემა მრავალმხრივია და მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორცაა:

1. 2018 წლის სახალხო დამცველის ანგარიშში გამოწვევად არის ასახული. ქართული ენის მასწავლებლების კვალიფიკაციის საკითხი. სახელმწიფო ენის მასწავლებლების ნაწილი არაქართულენოვან სკოლებში ქართულს საბაზისო დონეზეც კი არ ფლობს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ მომზადებული პედაგოგების რაოდენობა კი ვერ უზრუნველყოფს არაქართულენოვან სკოლებში არსებული ქართული ენის მასწავლებლის საჭიროებას.¹⁴
2. 2005 წლიდან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გატარებული ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა არ გულისხმობდა მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლებას. ამიტომ, საგანმანათლებლო დაწესებულებები იძლებულნი იყვნენ, მშობლიური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები შესაბამისი ქვეყნებიდან შემოეტანათ. განსაკუთრებით რთული მდგომარეობა იყო ამ მხრივ 2009 წელს, როცა არც აზერბაიჯანს და არც სომხეთს მე-12 კლასის სახელმძღვანელო არ ჰქონდათ, რადგან იქ ამ პერიოდისთვის ზოგადი განათლება 11 წლიანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი წელი გავიდა და ამ წლების მანძილზე არაერთი ცვლილება მოხდა, ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი მოსწავლეები, საქართველოში შედგენილი და გამოცემული სახელმძღვანელოებით ვერც 2022-23 წელს იყვნენ უზრუნველყოფილნი, შესაბამისად სახელმძღვანელოები კვლავ სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან შემოვიდა.¹⁵

⁹ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი EMC, 2020, ეთნიკური უმცირესობების მიმართ განათლების პოლიტიკის სისტემური გამოწვევები

¹⁰ https://emis.ge/Saganmanatleblo_dacesebulebebi_da_programebi/zogadsaganamanatleblo/

¹¹ <https://georgia.mfa.am/en/community-overview/>

¹² <https://tdi.ge/en/page/what-we-should-know-about-azerbaijani-fellow-citizens>

¹³ საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 4 და 5. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=98192>.

¹⁴ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2018, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ;

¹⁵ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2022, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ, 288;

3. კვლავ პრობლემურია იმ საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების საკითხი, რომელიც არაქართულენოვან სკოლებში, წესით, ქართულ ენაზე უნდა ისწავლებოდეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ცვლილება 2010-2011 წლიდან ამოქმედდა ქართულ ენაზე საგნების სწავლა, სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი კომპეტენციის გამო, ვერ მოხერდა.¹⁶
4. სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი სკოლებისთვის სახელმძღვანელოების თარგმნის პროცესი 2007 წლიდან დაიწყო. 2022-2023 სასწავლო წლისთვის მხოლოდ I-IX კლასები იყვნენ სრულად უზრუნველყოფილნი შესაბამის ენაზე ნათარგმნი გრიფირებული სახელმძღვანელოებით.¹⁷ შესაბამისად, დანარჩენ კლასებში სწავლა ნაწილობრივ მაინც, ჯერ კიდევ აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან შემოტანილი სახელმძღვანელოებით მიმდინარეობს.¹⁸
5. ბილინგვური განათლება ეროვნული უმცირესობების სრულფასოვანი ინტეგრაციის ერთ-ერთ საფუძველია.¹⁹ მიუხედავად იმისა, რომ ბილინგვურ განათლებაზე საუბარი ჯერ კიდევ 2011 წელს დაიწყო, ამ დრომდე ვერ ხერხდება ბილინგვური სწავლების სრულად უზრუნვეყოფა. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული 207 არაქართულენოვანი სკოლიდან, 2022-23 წლისთვის, მხოლოდ 41 სკოლაა ჩართული პროგრამაში „სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა ეროვნული უმცირესობების სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში“, რომელიც ბილინგვური განათლების ერთ-ერთი კომპონენტია.
6. სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიშში, ისევე როგორც ბოლო რამდენიმე წლის რეპორტში, აღნიშნულია, რომ პრობლემურია ერთიანი კონცეპტუალური ხედვის არასებობა, ორენოვანი პედაგოგების მომზადება, დაწესებულებების უზრუნველყოფა შესაბამისი სასწავლო-მეთოდოლოგიური პროგრამებით, დამხმარე სახელმძღვანელოებითა და საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. (საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2022, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ, 289)
7. 2013-2022 წლის სტატისტიკური მონაცემებით, სკოლიდან გამოსვლის მაჩვენებელი ანუ სკოლის მიტოვების ან მოსწავლის მიერ სტატუსის მიერ შეჩერების შემთხვევები ამ წლების განმავლობაში მცირდება. 69%-ია ეთნიკურად ქართველი მოსწავლეების მიერ სკოლის დასრულების მონაცემები. დიდი არაა სხვაობა სომხურ ეთნიკურ ჯგუფთან და 65%-ს შეადგენს, მაშინ, როცა აზერბაიჯანულ ჯგუფში, შედეგები კვლავ სავალალო 33%-ია.²⁰

უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებს 2005 წლამდე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უწევდნენ აღმინისტრირებას. 2005 წლიდან, შემუშავდა ერთიანი, სტანდარტიზირებული სისტემა „ერთიანი ეროვნული გამოცდები“-ს სახით, რომელიც აუცილებელი გახდა უმაღლეს საგანმანათლებლო საფეხურზე გადასვლისთვის, როგორც ქართულენოვანი, ასევე არაქართულენოვანი სკოლების კურსდამთავრებულთათვის, რომელთაც ჰქონდათ სურვილი გაეგრძელებინათ განათლების მიღება. იმის გამო, რომ ყველა აბიტურიენტისთვის სავალდებულო იყო ჩაებარებინა სამი გამოცდა: ქართული ენაში, უნარ-ჩვევებსა და უცხო ენაში, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ახალგაზრდები, ეთნიკურად ქართველ თანატოლებთან შედარებით არათანაბარ პირობებში აღმოჩნდნენ, რადგან ქართული ენის ცოდნა მათთვის საკმაოდ დიდ გამოწვევას წარმოადგენდა.

^{16, 18} ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი EMC, 2020, ეთნიკური უმცირესობების მიმართ განათლების პოლიტიკის სისტემური გამოწვევები

^{17, 19} საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2022, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ, 288-289;

²⁰ სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათმორისი ურთიერთობების ცენტრი (CCIR), სწავლის შეწყვეტის მაჩვენებლები (2013-2022 წლები), 2022

ეს ნათელი გახდა ერთიანი ეროვნული გამოცდების პირველ წელს, რადგან მხოლოდ 20 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა აბიტურიენტმა შეძლო, რომ გამხდარიყო სტუდენტი.²¹

2005 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ახალგაზრდების განათლების მიმართულებით „საშეღავათო პოლიტიკის“ განხორციელება დაიწყო. ამ პოლიტიკაში სხვადასხვაგვარი ცვლილებები, წლების განმავლობაში, რამდენჯერმე შევიდა, 2010 წლიდან კი საქართველოში მცხოვრები არაქართულენოვანი სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ ერთიან ეროვნულ გამოცდებში გამარტივებული წესით მიეღოთ მონაწილეობა.²² გამარტივებული წესით ე.წ. 1+4 პროგრამით, ეთნიკურად არადომინანტურ ჯგუფებს შეუძლიათ მშობლიურ ენაზე ჩააბარონ ზოგადი უნარების გამოცდა. ამით, ისინი იღებენ შესაძლებლობას, რომ ჩაირიცხონ უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სახელმწიფო ენაში მოსამზადებელ ერთწლიან კურსზე. პროგრამაში 60 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში კი მოიპოვებენ უფლებას რომ სწავლა ბაკალავრიატის საფეხურზე განაგრძონ. 2010-2018 წლების სტატისტიკით, ამ პროგრამაზე სტუდენტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის არაქართულენოვანი სტუდენტების რაოდენობას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.²³

საგულისხმოა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საშუალო სკოლის საფეხურზე მოსწავლეებს აქვთ მშობლიურ ენაზე სწავლის შესაძლებლობა, უმაღლესი განათლების მისაღებად ახალგაზრდებს ქართული ენის ცოდნა სჭირდებათ. უნივერსიტეტში ბაკალავრიატის საფეხურიდან ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფის წარმომადგენლები, ქართველებთან ერთად ქართულ ენაზე აგრძელებენ განათლების მიღებას.

²¹ სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი (CCIR), 2020, საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში.

²² ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2022, განათლების სექტორის მიმოხილვა, ეთნიკური უმცირესობების და სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების გამოწვევების იდენტიფიცირება.

²³ პერიოდებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, <https://www.smr.gov.ge/ge/page/58/saganmanatleblo-programa>

თვისებრივი და რაოდენობრივი კომპონენტი

განათლების სისტემაში, ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფის წარმომადგენელი მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის, ხარისხიანი განათლების მიღება, ქართველ თანატოლებთან შედარებით, ნაკლებად ხელმისაწვდომია. ამას ძირითადად ენობრივი ბარიერი, რესურსების სიმწირე ან არსებული რესურსების არაეფექტური გამოყენება, დაბალი კვალიფიკაციის მქონე კადრები, კულტურული და სოციალური ინტეგრაციის ნაკლებობა განაპირობებს.

ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით განათლების ყველა საფეხურზე, სერიოზული გამოწვევები არსებობს. ეთნიკურად არადომინანტური მოსახლეობით დასახლებულ რეგიონებში, არ არის სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებები, შესაბამისად, მოსწავლეები არ ფლობენ ზოგადი განათლების საფეხურზე გადასვლისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს.

განათლების როლი და მნიშვნელობა

კვლევის მონაწილე ახალგაზრდებისთვის, განათლების საკითხს განსაკუთრებული როლი აქვს. სტუდენტებთან დისკუსიის დროს გამოიკვეთა, რომ მიუხედავად იმისა, დასაქმებულები არიან თუ არა ან საქმიანობენ თუ არა საკუთარი პროფესიით, ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტებში სწავლობენ, ახალგაზრდებში სიამაყის განცდას იწვევს. ეს მათ აძლევს თავდაჯერებას, რომ გამოწვევების მიუხედავად, უმაღლესი განათლების მიღების ბენეფიტებზე გაბედულად და თამამად ისაუბრონ.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეები განათლების მნიშვნელობის სამ ასპექტს გამოყოფენ: (1) თანასწორი განათლების მიღების აუცილებლობა ეთნიკური უმცირესობისთვის, სოციუმთან ინტეგრაციის გზაა. (2) რესპონდენტებისთვის, განათლება გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებაზე და პიროვნების ჩამოყალიბებაზე მოქმედი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, რომ მთავარი ფაქტორია. განათლება მათთვის ადამიანის ფუნდამენტურ უფლებასთან თავისუფლებასთან, საკუთარ უფლებების ცოდნასთან და დაცვასთან არის დაკავშირებული (3) განათლება, არის მომავალში წარმატების წინაპირობა და კარგი ცხოვრების გარანტი.



„ჩემი აზრით განათლება არის გასაღები ყოველგვარი ოცნების, თუ განათლება გაქვს შეგიძლია იყო რაც გინდა, ყველაფრის დასაწყისი არის განათლება.“
(ქვემო ქართლი, ქალი, 18-25 წელი) და
„ადამიანის განათლებაზეა დამოკიდებული სრულიად მისი მომავალი“
(სამცხე-ჯავახეთი, ქალი, 18-25 წელი)

„განათლება აუცილებელია ეთნიკური უმცირესობებისთვის, იმისათვის, რომ საზოგადოებაში უკეთესად ვინტეგრირდეთ და ფართოდ გავნაწილდეთ“

(სამცხე-ჯავახეთი, კაცი, 18-25 წელი)

„განათლება არის თავისუფლება. ადამიანს, რომელსაც განათლება აქვს ვერ დაჩაგრავ, ვერაფერს უზამ.“

(ქვემო ქართლი, კაცი, 18-25 წელი)

განათლების როლისა და მნიშვნელობის კუთხით, რეგიონისა და სქესის ჭრილში განსაკუთრებით საინტერესო თავისებურებები გამოიკვეთა.

- **თავისებურებები რეგიონის მიხედვით** - რაოდენობრივი კვლევის მონაწილეებიდან ქვემო ქართლში რესპონდენტების 57%, ხოლო სამცხე ჯავახეთში გამოკითხულთა 75% აღნიშნავს, რომ მათთვის განათლების მიღება ძალიან მნიშვნელოვანია. ამ მონაცემებს შორის

თითქმის 20%-იან სხვაობას, ერთგვარად ხსნის ფოკუს ჯგუფში ახალგაზრდების დისკუსია. საქმე იმაშია, რომ როდესაც განათლებაზე ვსაუბრობთ, რესპონდენტებს აქვთ ტენდენცია განათლება არა გავლილი/გასავლელი საფეხურების მიხედვით განიხილონ, არამედ ასოცირება გააკეთონ უმაღლეს განათლებასთან. მაშინ, როცა უმაღლესი განათლება შორეულ პერსპექტივად ჩანს, რესპონდენტების დამოკიდებულებას განსაზღვრავს არა მხოლოდ ის, რამდენად უნდათ რომ მიიღონ განათლება, არამედ განსაკუთრებით ის, თუ რამდენად ხელმისაწვდომად თვლიან ისინი სკოლის დასრულების შემდეგ განათლების ზედა საფეხურზე გადასვლას. სამცხე-ჯავახეთის წარმომადგენლებს აქვთ შესაძლებლობა, რომ უმაღლესი განათლება რეგიონიდან გაუსვლელად მიიღონ. მაშინ, როცა ქვემო ქართლის მცხოვრები ახალგაზრდები, უმაღლეს განათლებასთან უახლოესი წვდომა დედაქალაქში აქვთ. შესაბამისად გადასალახ ბარიერებს, ამ შემთხვევაში ემატება ფიზიკური დისტანციის ელემენტიც.

- საინტერესოა რაოდენობრივი კვლევის ამ ნაწილზე დაკვირვება გენდერულ ჭრილშიც. გამოკითხული ქალების 83%, აღნიშნავს, რომ მათთვის განათლება არის ძალიან მნიშვნელოვანი, მაშინ როცა ეს მონაცემი კაცებში 48%-ია. განსაკუთრებით საყურადღებოა ეს შედეგი, იმის გათვალისწინებით, რომ გოგონებს, ოჯახის და გარემოს მხრიდან ნაკლები ხელშეწყობა აქვთ. „ხშირად მშობლები მათ პოტენციურად სხვა ოჯახის წევრად განიხილავენ, იგულისხმება გოგონას დაოჯახების პერსპექტივა და გოგონების განათლებაში თანხის ინვესტიციას ერიდებიან.“

ფოკუს ჯგუფების მონაწილეები მრავლად იხსენებენ მეზობლების, ახლობლების და ნათესავების ისეთ შემთხვევებს, როდესაც გოგონებს მაღალი აკადემიური მოსწრების შემთხვევაშიც კი ოჯახები ხელს არ უწყობენ, რომ არათუ პროფესიულ თუ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში გააგრძელონ სწავლა, არამედ მიიღონ სრული ზოგადი განათლებაც კი.



„განსაკუთრებით სოფლებში, მენტალიტეტის ძალიან დაბალი დონეა. ჩემი აზრით ეს ძალიან ცუდია, ფიქრობენ, რომ გოგონებს ნაკლები შესაძლებლობები უნდა მისცენ, ეს არ შეიძლება. გოგონებისთვის ყველა შეზღუდვას ქმნიან.“

(ქვემო ქართლი, ქალი, 18-25 წელი)

„ოჯახს უნდა რომ ბიჭმა რაღაცა გააკეთოს, სულ მაგაზე წვლობენ რომ ბიჭმა წინ წაიწიოს. გოგონაზე ეგრე არ აკეთებენ, ფიქრობენ რომ სვალ და ზეგ დაოჯახდება.“

(სამცხე-ჯავახეთი, ქალი, 18-25 წელი)

ოჯახის მხარდაჭერის როლი უწყვეტად განათლების მიღების პროცესში

ოჯახის როლი დიდია ახალგაზრდების მიერ, როგორც განათლებით დაინტერესებაში, ასევე პროფესიულ და უმაღლეს საფეხურზე სწავლის გაგრძელების გადაწყვეტილების მიღებაში. ეს განსაკუთრებულად ნათლად ჩანს ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფის წარმომადგენელი მოსწავლეებისა და სტუდენტების დამოკიდებულებასა და გამოცდილებაში. რაოდენობრივი კვლევის მონაწილეებიდან სამცხე-ჯავახეთში 78%, ხოლო ქვემო ქართლში 75% აღნიშნავს, რომ მშობლებს მათ მიერ განათლების მიღებით დაინტერესებაში ძალიან დიდი როლი აქვთ. ოჯახის მხარდაჭერის კუთხით უნდა გამოვყოთ ორი ძირითადი მიმართულება: ემოციური კომპონენტი და ფინანსური კომპონენტი.

ემოციური მხარდაჭერა - ყურადსაღებია, რომ განათლების მიღება ეთნიკურად არადომინანტურ ჯგუფებში აღქმულია, როგორც ქართული კულტურის ნაწილი. აღნიშნული შესაძლოა განპირობებული იყოს იმით, რომ ქართველი ოჯახებისთვის, შვილის მიერ უმაღლესი განათლების მიღებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მაშინ, როცა ქართველი მშობლები, როგორც წესი, არათუ სრულ მხარდაჭერას უცხადებენ, არამედ უმეტესწილად უბიძგებენ კიდევ შვილებს, რომ მათი სურვილის მიუხედავად, გააგრძელონ განათლების მიღება, ეთნიკურად სომეხ და აზერბაიჯანელ ახალგაზრდებს, ამ კუთხით ხშირად ორმაგი ძალისხმევა სჭირდებათ. ერთი მხრივ, ისინი თავად უნდა დაინტერესდნენ, რომ განათლების მიღების გზა აირჩიონ და მეორეს მხრივ, უნდა დაარწმუნონ ოჯახი, რომ მათ ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირონ. საინტერესოა ისიც, რომ მშობლები საკმაოდ აქტიურად არიან ჩართული და ერევიან შვილების მიერ პროფესიის არჩევის პროცესში. შვილებს მიუთითებენ ისეთ პროფესიებზე, რომლებიც მათი აზრით, მისცემს შესაძლებლობას ადვილად დასაქმდნენ.



„ჩემი თანაკლასელების მშობლებს საერთოდ არ უნდოდათ, რომ თავიანთ შვილებს ჩაებარებინათ უნივერსიტეტში და გაეგრძელებინათ განათლება. განსაკუთრებით გოგონების შემთხვევაში. ფიქრობდნენ, რომ მათთვის ეს არ იყო საჭირო, ფიქრობდნენ, რომ ისინი უნდა დაქორწინებულიყვნენ კარგ ბიჭზე, კარგი ოჯახიდან.“

(სამცხე-ჯავახეთი, ქალი, 18-25 წელი)

„[ოჯახებს] უჭირთ გადაწყვეტილების მიღება, რომ თავიანთი გოგო გაუშვან დიდ ქალაქში მარტო. ეს ალბათ უფრო დიდ თაობაში, რომლებიც ფიქრობენ, რომ დიდ ქალაქში ცხოვრობენ სულ მკვლევები, ნარკომანები და თავიანთი შვილებისთვის იქ არ იქნება უსაფრთხო ცხოვრება.“

(ქვემო ქართლი, კაცი, 18-25 წელი)

ფინანსური მხარდაჭერა ახალგაზრდებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან საბოლოოდ და ხშირ შემთხვევაში, გადამწყვეტ როლს თამაშობს იმაში, შეძლებენ თუ არა ისინი სწავლის შემდეგ საფეხურზე გაგრძელებას. როგორც აღვნიშნეთ, სამცხე-ჯავახეთში არსებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, ერთგვარად ამსუბუქებს ამ მდგომარეობას, რასაც ვერ ვიტყვით ქვემო ქართლის შემთხვევაში. იმ სტუდენტებისთვის სამცხე-ჯავახეთიდან, ვისაც სწავლის გაგრძელება სხვა ქალაქში (ახალციხესა და თბილისში) უწევთ და ყველა ქვემო ქართლში მცხოვრები ახალგაზრდისთვის, რომელსაც უმაღლესი განათლების მიღების გადაწყვეტილება აქვს მიღებული, უმნიშვნელოვანესია მშობლების მზაობა, რომ ფინანსურად მხარი დაუჭირონ, რადგან დედაქალაქში ცხოვრებისას მათ ხარჯებს სწავლის საფასურის გარდა, საცხოვრებლის, კვების, ტრანსპორტირების ღირებულებაც ემატება.



„ყველას არ შეუძლია გადაიხადოს თან საცხოვრებლის თანხა, თან სწავლის თანხა, თან მგზავრობა“.

(სამცხე-ჯავახეთი, კაცი, 18-25 წელი)

„ჩემს ნაცნობებში არიან ოჯახები, რომლებსაც, პირიქით, ურჩევნიათ, რომ მათმა შვილებმა რაიმე საქმე შეისწავლონ და იმუშაონ, ფიზიკურად, ვიდრე, მათი თქმით სკოლაში ტყუილად დრო დაკარგონ.“

(სამცხე-ჯავახეთი, ქალი, 18-25 წელი)

ლიმიტირებული ფინანსური რესურსების პირობებში, ზოგიერთი ოჯახი, არათუ ვერ უზრუნველყოფს შვილისთვის ფინანსურ მხარდაჭერას, პირიქით, მათ აქვთ მოლოდინი, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ, ახალგაზრდები გახდნენ შემომტანები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ

სწავლის გაგრძელების ნაცვლად, სკოლის ან ხშირად მე-9 კლასის დასრულების შემდეგ, პირდაპირ ჩაებნენ მუშაობის პროცესში: აღნიშნული პრაქტიკა განსაკუთრებით მიღებულია ბიჭების შემთხვევაში. აღიქმებიან, რა როგორც სამუშაო ძალა და შემომტანი ოჯახში, ისინი იძულებულნი ხდებიან წავიდნენ სამუშაოდ ძირითადად რუსეთში ან გამონაკლის შემთხვევებში ევროპულ ქვეყნებში. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ საქართველოში, კარგი განათლების შემთხვევაშიც კი ანაზღაურება დაბალი. ამიტომ, ბიჭებს ურჩევნიათ, რომ არ დახარჯონ სწავლაში დამატებით 4 წელი და ფინანსური რესურსი და პირდაპირ შეუდგნენ მუშაობას.

რაც შეეხება გოგონებს, მაშინაც კი თუ სკოლაში კარგად სწავლობენ, ხშირად მათ ოჯახი არ უწყობს ხელს განათლების მიღებაში, რადგან როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოტენციურად სხვა ოჯახის წევრად განიხილებიან. ფინანსური გამოწვევების ფონზე კი, მშობლები გოგონებს ხშირ შემთხვევაში დაოჯახებისკენ მიუთითებენ. როცა გოგონა აღრეულ ასაკში ქორწინდება (არ იგულისხმება არასრულწლოვნების შემთხვევები), მაშინაც კი, თუ პირდაპირ არ ხდება იძულებული და არ უკრძალავენ სწავლის გაგრძელებას, მას ეკისრება ვალდებულება, რომ ხელი შეუწყოს პარტნიორს, რომელიც მუშაობს, შესაბამისად სახლში რჩება, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა ბავშვ(ებ)ი ჰყავს. გარდა ამისა, იმ შემთხვევებში, როცა გოგონა არ ხდება იძულებული, რომ გათხოვდეს, ბიჭებისგან განსხვავებით გოგონების ქალაქში სასწავლებლად გაშვების პერსპექტივა, ოჯახის მხრიდან განსაკუთრებით მწვავედ აღიქმება. დიდ ქალაქში ცხოვრება უფროსი თაობისთვის ასოცირდება სხვადასხვა მარგინალურ ჯგუფებთან, უფრო კონკრეტულად ნარკოტიკების მოხმარებასთან, მკვლელობასთან, შესაბამისად გოგონების უსაფრთხოების გათვალისწინებით, უჭირთ გადაწყვეტილების მიღება.

სახელმწიფო ენის ცოდნის როლი

ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფის წარმომადგენელი მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის, ქართული ენის ცოდნა, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ენობრივ ბარიერთან დაკავშირებული გამოწვევები, განათლების სისტემის არათანმიმდევრული განვითარებისა და სისტემური ხედვის არ არსებობის შედეგია. ენობრივი ბარიერი მნიშვნელოვნად აფერხებს ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფის წარმომადგენლების ინტეგრაციას განათლების სისტემის ფარგლებში, რაც თავის მხრივ ენობრივი კომპეტენციის განვითარების კუთხით განხორციელებული ინტერვენციების არაეფექტურობას განაპირობებს. ექსპერტების აზრით, ენობრივი ბარიერის აღმოსაფხვრელად, მნიშვნელოვანია ინტეგრაცია ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ დონეზე.

„მნიშვნელოვანი ფაქტორი, რის გამოც ვერ ხდება ხარისხიანი განათლების თანაბრად უზრუნველყოფა არის ენის ფაქტორი. ამ ფაქტორზე ასე ერთმნიშვნელოვნად ვერ ვიტყვით რომ ერთი მხარის ბრალია და მეორესი არ არის, თუმცა მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს და სისტემას. იმიტომ, რომ აგერ უკვე, 2005 წლიდან თუ ავიღებთ, მიმდინარეობს მნიშვნელოვანი რეფორმა საგანმანათლებლო სისტემაში. ამდენი წელი გავიდა უკვე და ვერაფრით ვერ მოხერხდა ენობრივი ბარიერის ფაქტორის ეფექტურად და კონკრეტულ დროში მოწესრიგება.“

კვლევის მონაწილე ახალგაზრდებისთვის განათლების მიღება, პირველ რიგში ენის ცოდნასთან ასოცირდება. უნდა აღვნიშნოთ, რომ ფოკუს ჯგუფების მონაწილე 58 რესპონდენტიდან სრული უმრავლესობა სრულყოფილად თუ არა, მინიმალური ხარვეზებით საუბრობდა ქართულად. რაც შეეხება კვლევის რაოდენობრივ კომპონენტს, რომელშიც გამოკითხულთა 50% სკოლის მოსწავლეა, 45% აღნიშნავს, რომ სრულყოფილად (19%) ან ნაწილობრივ (26%) შეუძლია ქართულ ენაზე მოსმენა,

გაგება, საუბარი და წერა კითხვა, 39% ამბობს, რომ მოსმენა და გაგება შეუძლიათ, მაგრამ საუბარი უჭირთ, ხოლო დანარჩენი 17%-იდან, 13%-ს მხოლოდ ცალკეული სიტყვები ესმის, 4%-ს საერთოს არ შეუძლია ქართულ ენაზე მოსმენა, გაგება, საუბარი და წერა-კითხვა. საყურადღებოა, რომ დისკუსიის მონაწილეების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სკოლის პერიოდში ისინიც არ ფლობდნენ სახელმწიფო ენას და ქართულის სწავლა მხოლოდ უნივერსიტეტში, სახელმწიფო ენის შემსწავლელ ან უშუალოდ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოახერხეს, როგორც ჩანს ეს გამოწვევა კვლავ აქტუალური რჩება სკოლის მოსწავლეებში.

საგულისხმოა, რომ ახალგაზრდები, ხარისხიანი განათლების მიღების პროცესში მთავარ ბარიერად სწორედ ენის ცოდნას მიიჩნევენ. რაოდენობრივი კვლევის მონაწილეების 68%-სთვის, ენის არ ცოდნას სამი ყველაზე მწვავე გამოწვევიდან პირველ ადგილს იკავებს, მეორე და მესამე ადგილებზე კი სწავლისთვის საჭირო რესურსებზე და ინფორმაციაზე შეზღუდული წვდომა (22%) და ფინანსური გამოწვევები (17%) არის განთავსებული.

გამოკითხული ახალგაზრდების 45% აღნიშნავს, რომ ქართული ენის ცოდნის დონე პირდაპირ კავშირშია აკადემიურ მიღწევებთან, ხოლო 26% ფიქრობს რომ ენობრივ ბარიერი გავლენას ახდენს თვითშეფასების კომპონენტზეც.

დისკუსიის მონაწილეებს სიღრმისეულად აქვთ გააზრებული ქართული ენის ცოდნის როლი. რესპონდენტების მსჯელობიდან ამ მხრივ რამდენიმე დონე გამოიყო:

1. **ქართული ენის როლი ეთნიკურად არალომინანტური ჯგუფების ყოფა-ცხოვრებაში.** რესპონდენტები სპონტანურად იშველიებენ მაგალითებს ყოველდღიურ ცხოვრებაში (საავადმყოფოში, ბანკში, სასამართლოში, იუსტიციის სახლში) სახელმწიფო ენის მნიშვნელობის გასამყარებლად და აღნიშნავენ, რომ ენის ცოდნა ყოველდღიური ცხოვრების გასამართლებლად არსებითია.
2. **ქართული ენის როლი ეთნიკურად არალომინანტური ჯგუფების მიერ განათლების მიღებაში.** მეორე მხრივ რესპონდენტებისთვის ქართული ენის ცოდნა განათლების მიღების, შესაბამისად მომავლის უზრუნველყოფის აუცილებელი წინაპირობაა, იგულისხმება უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში განათლების მიღების პერსპექტივა.
3. **ქართული ენის როლი ეთნიკურად არალომინანტური ჯგუფების მიერ დანარჩენ საზოგადოებასთან ინტეგრაციაში.** ბოლოს, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მათთვის წარმოდგენელია ინტეგრაციაზე საუბარი, ქართული ენის ცოდნისგან დამოუკიდებლად. რესპონდენტები აღნიშნულზე საუბრისას აღნიშნავენ, რომ საზოგადოების სრულყოფილი წევრობა გულისხმობს სახელმწიფო ენაზე სრულყოფილად საუბარს და ემოციურ დონეზე თავს იზოლირებულად გრძნობენ. ინტეგრაციაზე საუბრისას, რესპონდენტები არ გულისხმობენ მხოლოდ ეთნიკურად ქართულ მოსახლეობასთან ურთიერთობას:



„ჩემთვის სახელმწიფო ენის ცოდნა არის ის, რომ თავი ვიგრძნოთ საზოგადოების სრულყოფილ წევრად, როგორც ჩვენს ეთნიკურ ჯგუფში, ასევე დომინანტური ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა შორის.“
(სამცხე-ჯავახეთი, ქალი, 18-25 წელი)

„ქართული ენის ცოდნა საჭიროა არა მარტო იმისთვის, რომ განათლება მიიღონ ადამიანებმა, არამედ იმისთვისაც, რომ ამ ადამიანებს ცხოვრება გაუადვილდეთ.“
(ქვემო ქართლი, კაცი, 18-25 წელი)

„ქართული არის ძალიან მნიშვნელოვანი, არა მარტო ჩვენი ცხოვრებისთვის, არამედ ჩვენი მომავლისთვისაც. მაგალითად, უმაღლესში თუ გინდა განათლების მიღება, კარიერის კუთხით განვითარება, ბიზნესიც რომ იყოს, ჩვენ გვჭირდება, რომ ქართული ენა ვიცოდეთ“

(სამცხე-ჯავახეთი, კაცი, 18-25 წელი)

„ჩვენ საქართველოს მოქალაქეები ვართ, ხშირად გვიწევს ურთიერთობა ქართველებთან, არა მარტო ქართველებთან სხვა ეროვნების ხალხთანაც, რომლებთანაც საერთო ენა არის ქართული, ერთმანეთს ხომ უნდა გავუგოთ, ამიტომ საჭიროა ქართულის ცოდნა.“

(ქვემო ქართლი, ქალი, 18-25 წელი)

ქართული ენის საკმარის დონეზე არ ფლობა იმდენად დიდი ბარიერია, რომ რესპონდენტების დისკუსიის დროს ყველა საკითხს ფონად მიყვება. უფრო მეტიც, ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფების განათლებაში არსებულ ყველა გამოწვევას მეტ-ნაკლებად ენობრივი ბარიერი უღვეს საფუძვლად. ნათელია, რომ კვლევის მონაწილეებს ამ თემაზე სიღრმისეულად აქვთ ნაფიქრი. ენობრივი კომპეტენციის საკითხი ფოკუს ჯგუფებში ფრაგმენტულად იყო ნახსენები როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული და უმაღლესი განათლების სისუსტეებსა და ხარვეზებზე მსჯელობის დროსაც. მოუხედავად იმისა, რომ რესპონდენტებისთვის კითხვა „რა არის ენობრივი ბარიერის მიზეზი“ მოდერატორის მხრიდან არ დასმულა, ყველა ჯგუფის განწყობებმა მოგვცა შესაძლებლობა, რომ ამ საკითხზე გვემსჯელა. გამოვლინდა რამდენიმე ძირითადი მიზეზი, რომელიც რესპონდენტების აზრით ამ კომპლექსური პრობლემის უკან დგას:

- ✓ **ქართული ენის არასტანდარტიზებული სწავლება არაქართულენოვან სკოლებში.** მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით ყველა არაქართულენოვან სკოლაში უნდა ისწავლებოდეს ქართული ენა, სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ენის სწავლების სტანდარტს სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან სკოლებში. საგულისხმოა, რომ როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, მათ სკოლებში სახელმწიფო ენას კვლავ ასწავლიან ისეთი მასწავლებლები, რომლებსაც ქართულ ენაზე კომუნიკაციაც კი არ შეუძლიათ. სახელმწიფო ენის სწავლება სკოლებში დამოკიდებულია ცალკეულ მასწავლებლებზე და მათ კეთილ ნებაზე. პედაგოგებს, იმ შემთხვევაშიც კი თუ ქართული ენა მათი პროფესიაა, მოსწავლეებისთვის ცოდნის გასაზიარებლად დამატებითი ლიტერატურის მოძიება უწევთ, რადგან ქართული ენის არსებული წიგნები ხარისხიან სწავლებას ვერ უზრუნველყოფს.



„ჩემი აზრით სკოლებში მასწავლებლების დონე არ არის ისეთი, რომ ბავშვებს ასწავლონ და ასწავლონ კარგად. თვითონ მასწავლებელს არ ესმის კარგად და ბავშვებს რანაირად უნდა ასწავლოს.“

(სამცხე-ჯავახეთი, ქალი, 18-25 წელი)

„პირადად, ჩემს სკოლაში კარგად გვასწავლიდნენ, ქართველი მასწავლებელი მყავდა, თავისი მასალებით გვასწავლიდა და მაგის გამო უფრო კარგად ვისწავლე ქართული ენა. მაგრამ, სკოლის მასალაზე რომ ვისაუბროთ, ეგ იყო საშინელება.“

(ქვემო ქართლი, კაცი, 18-25 წელი)

კვლევის მონაწილეები განსაკუთრებით დადებითად აფასებენ იმ ქართულის მასწავლებლებს, რომლებმაც საკუთარი ენთუზიაზმი და ენერჯია გამოიყენეს მოსწავლეებისთვის სახელმწიფო ენის სასწავლებლად. საინტერესოა, რომ ასეთ მასწავლებლებს, შეუძლიათ აღძრან ახალგაზრდებში არა მხოლოდ ქართული ენის, არამედ ზოგადად, განათლების მიღების გაგრძელების მოტივაცია. გამოწვევას წარმოადგენს ის, რომ ზოგიერთ სკოლაში ასეთი ერთი მასწავლებელიც კი არ არის და იმ მოსწავლეებსა და სტუდენტებს, რომლებსთვისაც ქართული არ არის მშობლიური, უწევთ რომ თვითონ უზრუნველყონ ქართული ენის ათვისება.

ეს კი საკმაოდ დიდ გამოწვევას წარმოადგენს არა მხოლოდ ტექნიკური, არამედ ემოციური თვალსაზრისითაც. რიგ შემთხვევებში, ენის არასრულფასოვნად სწავლებამ პიროვნულ დონეზე მოახდინა გავლენა და პიროვნების ფორმირების სტადიაში მოსწავლეებს ჩამოუყალიბა ისეთ საკითხებში პრობლემები როგორცაა თვითშეფასება, თვითრეალიზება, დანაშაულის განცდა და ა.შ. აღნიშნულმა პრობლემებმა რესპონდენტების აზრით, გარკვეულწილად გავლენა მოახდინა აკადემიურ კარგად ყოფნაზე. ფაქტობრივად, ის ახალგაზრდები, რომლებიც ქართულად გამართულად საუბრობენ, ამას ახერხებენ პირადი კონტაქტების, საკუთარი სურვილით ქართველ მეზობლებთან, უცნობებთან და ნაცნობებთან კომუნიკაციის ხარჯზე. ენის არასრულფასოვნამ ცოდნამ გამოიწვია ისეთი ემოციები, როგორცაა სირცხვილი, დანაშაულის განცდა და ა.შ. ერთის მხრივ ამის კომპენსირებას პირადი კონტაქტების ხარჯზე ცდილობდნენ.



„სკოლაში, განსაკუთრებით მე-ნ კლასამდე, ქართული ენის მასწავლებლებმა, ძალიან დაბალ დონეზე იცოდნენ ქართული ენა, ძალიან ბაზისურ რადაცეებს გვასწავლიდნენ. ეს იყო ჩემთვის ერთ-ერთი დიდი გამოწვევა. მერე სულ ვფიქრობდი, რომ ამან ჩემს თვითშეფასებაზეც იმოქმედა. სულ ვფიქრობდი, შენ ხარ უნიჭო გოგო, არაფერი ხარ. სულ ჩემს თავს ვუბნებოდი. ჩემს თავს ვადანაშაულებდი, მაგრამ ვერ ვხვდებოდი, როგორი გარემო იყო ჩემს გარშემო.“

(ქვემო ქართლი, ქალი, 18-25 წელი)

„ბავშვობაში დავიწყე მეზობლის ბავშვებთან ქართულად საუბარი, ო-ს ვამატებდი და მეგონა ქართული იყო. რო არ მრცხვენოდა მაგედან დაიწყო, ისინი მისწორებდნენ არ დამცინოდნენ და ძალიან დიდი მხარდაჭერა იყო, მეც ვისწავლე ქართული და იმათაც სომხური.“

(სამცხე-ჯავახეთი, ქალი, 18-25 წელი)

✓ **ქართული, როგორც უცხო ენა.** ფოკუს ჯგუფების მონაწილეების დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ მათ არაქართულენოვან სკოლებში, სახელმწიფო ენის სწავლების კუთხით, იგივე მდგომარეობაა რაც უცხო ენის სწავლების კუთხით. ემოციურ დონეზე, რესპონდენტები თვლიან, რომ უცხო ენად არ შეიძლება მიჩნეული იყოს სახელმწიფო ენა, რაც გვაფიქრებინებს რესპონდენტების სახელმწიფოსთან მყარ მიჯაჭვულობაზე. რაც გულისხმობს იმას, რომ ძირითადი აქცენტი კეთდება ენის გრამატიკული ნაწილის დაზეპირებაზე კონტექსტის გარეშე. ამასთანავე, ქართული ლიტერატურის სწავლება მოსწავლეებისთვის არ არის სავალდებულო და ისევ და ისევ დამოკიდებულია მასწავლებლის კეთილ ნებაზეამასთანავე, რესპონდენტების აზრით, ქართული ენისთვის დათმობილი საათები არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მოსწავლემ სახელმწიფო ენა მაღალ დონეზე აითვისოს. პრობლემად სახელდება ლიტერატურის და წიგნების არარეღევანტურობა მათ გონებრივ ასაკთან.



„უცხო ენის სწავლის ცნება უნდა გავმიჯნოთ და ამას ქართული არ უნდა მივაკუთვნოთ. ქართული სახელმწიფო ენაა. თუმცა ქართულის მდგომარეობა, არც ისე კარგია უცხო ენების სწავლის მდგომარეობასთან შედარებით.“

(ქვემო ქართლი, კაცი, 18-25 წელი)

„რაც შეეხება ქართულ წიგნებს, მე როგორც მანსოვს თავთავის წიგნი იყო, 1-3 კლასის დონის ქართული ენა, ამას ვსწავლობდით მე-12 კლასში.“

(ქვემო ქართლი, კაცი, 18-25 წელი)

„ჩვენ ქართულს ისე არ ვსწავლობთ როგორც სახელმწიფო ენას, არამედ როგორც მეორე ენას. არადა ეს აუცილებელია. არ ვსწავლობთ ლიტერატურას, არც სხვა რადაცეებს. ეს ძალიან რთულია და აქედან მოდის შემდგომში ყველა პრობლემა. პირველი კლასიდან უნდა ისწავლებოდეს ხარისხიანად ქართული, როგორც მეორე ენა. შემდგომში ენის სწავლა ძალიან ადვილი იქნება. მაგედან მოდის პრობლემა და მერე უფრო რთულდება.“

(სამცხე-ჯავახეთი, ქალი, 18-25 წელი)

- ✓ **ფიზიკური დისტანცია ქართული მოსახლეობისგან.** საინტერესოა, რომ დისკუსიის დროს, მონაწილეები ხშირად უსვამენ ხაზს იმას, რომ სახელმწიფო ენის სწავლის შესაძლებლობა უნივერსიტეტში ჩაბარებამდე, იქამდე არ ეძლევათ, სანამ საკუთარი ასაკის სხვა ეთნიკური წარმომავლობის სტუდენტებთან არ გადაიკვეთებიან. რაოდენობრივი კვლევის რესპონდენტებიდან ჯამში მხოლოდ 27% აღნიშნავს, რომ მათ ყოველთვის (9%) ან ხშირად (17%) აქვთ ურთიერთობა ქართველ თანატოლებთან არაფორმალურ გარემოში. ეს მაჩვენებელი განსხვავებულია ქვემო ქართლისა (18%) და სამცხე-ჯავახეთის (33%) წარმომადგენელ ახალგაზრდებს შორის.



„სულ ამბობენ, რატომ არ იციან ქართული ენაო. მაგრამ არ ფიქრობენ იმაზე, სად და ვისთან ცხოვრობენ ეს ადამიანები. მაგალითად, აზერბაიჯანელები ცხოვრობენ კომპაქტურად და მხოლოდ აზერბაიჯანულად საუბრობენ ერთმანეთთან.“

(ქვემო ქართლი, ქალი, 18-25 წელი)

ცოდნასთან. საყურადღებოა ის, ენობრივი ბარიერი არის მიზეზი იმისა, რომ ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფები, ეთნიკურად ქართველებისგან იზოლირებულნი არიან, თუ პირიქით, კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში ქართველი მოსახლეობისგან დისტანცირებულად ცხოვრება იწვევს ქართული ენის არ ცოდნასთან დაკავშირებულ ბარიერებს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დისტანცირებას მეორეს მხრივ იწვევს ეთნიკური უმცირესობების დადანაშაულება. ეთნიკური ჯგუფებისადმი დამახასიათებელი სტერეოტიპები უფრო მეტად აფართოებს დისტანცირების ხარისხს.

- ✓ **არაქართულენოვანი მოსახლეობის ინტერესისა და მოტივაციის ნაკლებობა სახელმწიფო ენის სწავლის კუთხით.** კვლევის მონაწილეები დისკუსიის დროს იხსენებენ საკუთარ გამოცდილებებს და იმას თუ როდის და როგორ დაინტერესდნენ ქართული ენის შესწავლით. რესპონდენტების მხრიდან სახელმწიფოს ჩართულობა და პედაგოგების დამოკიდებულება ენის სწავლის პროცესში განიხილება, როგორც დემოტივატორი. მიიჩნევა რომ სასწავლო რესურსები, მასწავლებელთა კვალიფიკაცია და დამოკიდებულება არ შეესაბამება ქვეყანაში არსებულ სტანდარტებს.

საყურადღებოა, რომ ზოგიერთი პედაგოგი მოსწავლის სახელმწიფო ენის შესწავლით დაინტერესების ნაცვლად, ხშირად დემოტივატორს და ერთგვარ ბარიერსაც კი წარმოადგენს.



„ვინმემ კი არ დამავალდებულა, რომ მესწავლა ქართული. უბრალოდ, როცა მივხვდი, რომ ეს მაძლევდა უფრო მეტ შესაძლებლობას, უფრო მეტ უფლებას რომ უფრო მეტს მივადწიო, მაშინ დავიწყე, მჭირდება, ე.ი უნდა ვიცოდე.“

(სამცხე-ჯავახეთი, ქალი, 18-25 წელი)

„სკოლაში, სადაც მე ვსწავლობდი, ისეთი გარემო იყო შექმნილი, რომ თითქოს ქართული ენა არ არის საჭირო. ასე ვთქვათ, ყველა მასწავლებელმა იცოდა რუსული ენა, იყვნენ აზერბაიჯანელები და სომხები. ისეთი შთაბეჭდილება გრჩებოდა, რომ ქართული ენა საერთოდ არ არის საჭირო. ეს ძალიან ცუდია, ასე არ უნდა იყოს. თვითონ დირექტორმაც არ იცოდა ქართული ენა ნორმალურად.“

(ქვემო ქართლი, ქალი, 18-25 წელი)

გამოწვევები ზოგადი განათლების მიღების პროცესში

კვლევის მონაწილე ექსპერტები აღნიშნავენ, რომ არაქართულენოვანი სკოლები, წარმოადგენენ ერთგვარ, იზოლირებულ ნაწილს ზოგადი განათლების სისტემისა და ინტეგრირებულები არ არიან ამ სისტემის მეინსტრიმულ ნაწილთან, რომელსაც ქართულენოვანი სკოლები ქმნიან. განათლების სისტემას არ იცნობს ქართულ და არაქართულენოვან სკოლებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის პრაქტიკას, განხორციელებულ მხარდაჭერ ღონისძიებებს კი ძირითადად ერთჯერადი ხასიათი აქვს.

ინსტიტუციონალურ დონეზე, ინტეგრაციის კუთხით, არსებული გამოწვევები, აფერხებს ინტეგრაციას ინდივიდუალურ დონეზეც, შედეგად კი ვიღებთ სურათს, რომელშიც ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფის წარმომადგენელი მოსწავლეები კულტურულ და სოციალურ იზოლაციაში იმყოფებიან.

„ის სკოლები, რომლებიც არ ფუნქციონირებენ ქართულ ენაზე, ვერანაირად ვერ გახდნენ საგანმანათლებლო სისტემის მეინსტრიმის ნაწილი, ისინი არიან ცალკე კუნძულები, რომელთა გამოწვევების მოგვარება არ განიხილება, როგორც მთლიანი სისტემის ნაწილი.“

სასწავლო პროგრამა

თვისებრივი კვლევის მონაწილეების უმრავლესობა, საუბრობს იმაზე, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო პროცესი ერთფეროვანია და მათი გამოცდილებით არაეფექტურად არის დაგეგმილი. ეს კი ხელს უშლის მოსწავლეებს ცოდნის მიღებით დაინტერესებაში. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების მხრიდან სასწავლო პროგრამები ნეგატიურად ფასდება. ითვლება, რომ არ შეესაბამება კლასს და მათ წინამდებარე მიღებულ ცოდნას. ამასთანავე სახელდება აქტივობებისა და ლიტერატურის სიმწირის პრობლემა.

”

„ჩვენ ძალიან არასაინტერესო პროგრამა გვქონდა. ძალიან ერთფეროვანი. სულ ისეთი თემები იყო, რომლებიც წინა კლასებში უფრო გავლილი გვქონდა. მინდოდა, რომ ყოფილიყო სხვანაირი, უფრო საინტერესო აქტივობები.“

(ქვემო ქართლი, ქალი, 18-25 წელი)

არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართვა

მაშინ როცა რესპონდენტების აზრით, სკოლა ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეების დაინტერესებას ცოდნის მიღებით, განსხვავებულია დამოკიდებულება არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობების მიმართ. მხოლოდ ერთი არაფორმალურ საგანმანათლებლო ღონისძიებაც კი საკმარისი ხდება იმისთვის, რომ ახალგაზრდა დაინტერესდეს. ფოკუს ჯგუფის ყველაზე აქტიური მონაწილეები, რომლებიც იჩენენ კითხვებზე პასუხების გაცემის ინიციატივას, აღნიშნავენ, რომ მრავლად ჰქონდათ შესაძლებლობა, ჩართულიყვნენ საგანმანათლებლო აქტივობებში. ეს აქტივობები მათ შეუძლიათ რომ გაიხსენონ დეტალურად და თანმიმდევრულად, მიუხედავად იმისა, რომ უმეტეს შემთხვევაში საქმე გვაქვს ბევრი წლის წინანდელ გამოცდილებებთან. რესპონდენტები საუბრობენ საკუთარ ემოციებზე, შთაბეჭდილებებზე და იმაზე, თუ როგორ მოახდინა ამ გამოცდილებებმა გავლენა, როგორ შეცვალა მათი დამოკიდებულება ზოგადად განათლების მიღებაზე.

რადგან არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის არაფორმალური განათლების აქტივობების შესახებ განსაკუთრებით დაბალ კლასებში ინფორმაციის მიღების ერთადერთი საშუალება ხშირად არის სკოლა, გადამწყვეტი ფაქტორია სკოლის ადმინისტრაციის, დირექტორის მზაობა და როლი, რომ გაუზიაროს მოსწავლეებს და მოახდინოს მათი ინფორმირება მსგავს აქტივობებთან დაკავშირებით. რესპონდენტებს შორის გამოვლინდა, როგორც პოზიტიური, ასევე უარყოფითი გამოცდილების შემთხვევები. ხშირ შემთხვევაში სკოლის ადმინისტრაცია, არ აძლევს უფლებას არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომ სკოლაში განახორციელონ ტრენინგები, ვორქშოპები თუ ტრენინგები. ამ გზით, თვითონ იღებს საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებას და არჩევანის უფლებას ართმევს მოსწავლეებს, რომ სურვილისამებრ ჩაერთონ სხვადასხვა აქტივობებში. მეორე მხრივ იმ სკოლების კურსდამთავრებულები, რომლებიც ღია არიან მსგავსი ღონისძიებების მიმართ, აღნიშნავენ, რომ როგორც ურთიერთობის ასევე ენის უნარების განვითარებაში უდიდესი იყო ბანაკებში, ტრენინგებში და მსგავს შეხვედრებში მონაწილეობის მიღების როლი.



„ასეთი გამოცდილება საერთოდ არ მქონდა. მიზეზი ჩვენი დირექტორია. არ უნდოდა არც ტრენინგები არაფერი. ამიტომ, შესაძლებლობა სკოლის პერიოდში საერთოდ არ მქონია, სამწუხაროდ.“
(ქვემო ქართლი, ქალი, 18-25 წელი)

„პირადად მე სამოქალაქო განათლების მიმართულებით ჩართული ვიყავი სხვადასხვა ფორუმებში, ბანაკებში. ჩემს დროს ახალციხის ახალგაზრდული ცენტრიდან დადიოდნენ ნინოწმინდის სკოლებში, საინტერესო პროექტები ჰქონდათ. ასევე, დავდიოდი ნინოწმინდის ახალგაზრდულ ცენტრში. ასე, რომ ამ მიმართულებით ასე დავინტერესდი“.
(სამცხე-ჯავახეთი, კაცი, 18-25 წელი)

სახელმძღვანელოები

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, სახელმძღვანელოების ხარისხის თვალსაზრისით, კვლევის მონაწილეების მხრიდან, დისკუსიის დროს რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი და გამოწვევა დაფიქსირდა: (1)საზოგადოებრივი მეცნიერებების შესასწავლად განკუთვნილი ორენოვანი წიგნებით სწავლა (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 4 და 5) სტუდენტების გამოცდილებით, ეფექტური არ იყო, რადგან უხარისხო თარგმანის გამო, ამ წიგნებში სომხური და აზერბაიჯანული ნაწილები ვერ გამოხატავდა ტექსტის შინაარსს. შესაბამისად მოსწავლე ვერ ითვისებდა ფაქტობრივ ინფორმაციასაც კი. რესპონდენტების ციტატები ფოკუსს ჯგუფებიდან, ამტკიცებს, რომ ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა როგორც აზერბაიჯანულენოვან, ასევე სომხურენოვან სკოლებში. აღნიშნული შესაძლოა გამოწვეული იყოს იმით, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლების უმეტესობა სახელმწიფო ენას არ ფლობდა,



„საქართველოში გამოცემული წიგნები იყო ნათარგმნი სომხურად, თარგმანი იყო ძალიან ცუდი, აზრს ვერ გამოხატავდა და მოსწავლე შინაარსს ვერ გამოიტანდა.“
(სამცხე-ჯავახეთი, ქალი, 18-25 წელი)

„აზერბაიჯანი რასაც გვიგზავნიდა, რა თქმა უნდა არასწორი იყო, მაგრამ აზერბაიჯანული სახელმძღვანელოები უფრო ხარისხიანი იყო, ვიდრე საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ აზერბაიჯანულად დაბეჭდილი. მანდ ბევრი შეცდომა იყო. შინაარსობრივად ვერ ვიგებდით. ბაზისური კი არა, უხეში შეცდომები იყო. ძალიან რთული იყო გაგება, თუნდაც მათემატიკაში, ამოცანა რომ ეწერა, ვერ ვიგებდით, შინაარსს. ამიტომ, აზერბაიჯანული წიგნები უფრო ხარისხიანი და ინფორმატიულიც იყო.“
(სამცხე-ჯავახეთი, ქალი, 18-25 წელი)

(2) არასრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება მოსწავლეებისთვის. იგულისხმება, სახელმძღვანელოს ქართულ ნაწილს, მოსწავლეები, პედაგოგის ინსტრუქციით, უბრალოდ ტოვებდნენ. მიიჩნევა რომ აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად შესაძლოა, ერთის მხრივ ენობრივი კომპეტენციების გაზრდაა აუცილებელი, ხოლო მეორეს მხრივ შესაძლებელია ინფორმაციის სრულყოფილად მიწოდების მიზნით ქართულთან ერთად, სომხურად ან აზერბაიჯანულად ასწავლონ. რაც სწავლის მიდგომის კომპლექსურობას ქმნის-უფრო კონკრეტულად ბილინგვალ სწავლების მოდელის დანერგვას გულისხმობს. სწორედ ეს გაურკვევლობა და სახელმძღვანელოების ნაწილობრივ ათვისება, რესპონდენტების მხრიდან აეჭვებს ზოგადად ბილინგვური სწავლების ეფექტურობას. (3) მესამე და მნიშვნელოვან გამოწვევად დასახელდა ის, რომ სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან შემოტანილ წიგნებს, მოსწავლეები, განსაკუთრებით კი დაბალ კლასებში, შეცდომიანი შეჰყავს, რადგან ქართულ რეალობას არის მოწყვეტილი:



„მასწავლებლები ქართულ ნაწილს ტოვებენ. ჩემი აზრით, უმჯობესია, რომ მაგალითად საქართველოს ისტორია, იყოს მთლიანად სომხურად, მასწავლებლების უმეტესობა სომხურენოვანია. ბავშვი მაინც სომხურად სწავლობს და მთლიანად მაინც ისწავლის. ასევე, შესაძლებელია მასწავლებელმა ცუდად იცოდეს ქართული და არასწორი ინფორმაცია გაავრცელოს კლასში. ამიტომაც, ჩემი აზრით, ბილინგვალური წიგნების საკითხი არის მოსაგვარებელი.“

(სამცხე-ჯავახეთი, კაცი, 18-25 წელი)

„მე მგონი მეხუთე-მეექვსე კლასამდე წიგნებს აზერბაიჯანიდან გვიგზავნიდნენ. მესამე თუ მეოთხე კლასამდე მეგონა, რომ ჩვენი პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი იყო. იმიტომ, რომ წიგნები აზერბაიჯანში იყო დაბეჭდილი, ჰეიდარ ალიევის სურათებით. ვფიქრობდი, რომ ეგ იყო პრეზიდენტი და აზერბაიჯანის პიონი იყო ჩვენი პიონი.“

(ქვემო-ქართლი, ქალი, 18-25 წელი)

მასწავლებლების პროფესიონალიზმი

არაქართულენოვან სკოლებში ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით პედაგოგების როლი უმნიშვნელოვანესია კვლევის მონაწილე ექსპერტების მოსაზრებით. განათლების მიღებას, მათი დაკვირვებით აფერხებს პედაგოგების დაბალი კვალიფიკაცია. კადრების შერჩევის გაუმჭირველე სისტემა კი, ხელს უშლის, შედარებით მაღალკვალიფიციური და ახალგაზრდა პედაგოგების სისტემაში მოხვედრას, რაც საბოლოო ჯამში მოსწავლეთა განათლების ხარისხზე და მიღწევებზე ნეგატიურად აისახება. ექსპერტების აზრით, არაქართულენოვან სკოლებში განსაკუთრებით საყურადღებოა ქართული ენის სწავლების ხარისხი, რადგან მოსწავლეთა უმრავლესობას, სკოლის დამთავრების შემდეგაც კი, არ გააჩნიათ ქართულ ენაზე წერისა და მეტყველებისთვის საჭირო კომპეტენცია.

არაქართულენოვანი სკოლებში დასაქმებულ პედაგოგებს ხშირად არ აქვთ მოტივაცია და ინტერესი პროფესიული განვითარების მიმართულებით, რასაც დაბალი ანაზღაურება, პედაგოგთა ასაკი, ენობრივი ბარიერი და ა.შ განაპირობებს. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ განათლების რეფორმის ფარგლებში, მიუხედავად პედაგოგების გადამზადებისა, სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ემპირიული დასაბუთებები არ არსებობს.



„კადრები არ არსებობს ქვეყანაში, ახალი კადრები არ ჩნდება, ძველი დაბერდა და ძველს ისევ და ისევ, ბევრი მიზეზის გამო არ აქვს შესაძლებლობა და სურვილი, რომ პროფესიული განვითარება განიცადოს. რომც გაიაროს პროფესიული განვითარება ჩვენ არ გვაქვს არანაირი ემპირიული მტკიცებულება იმისა, რომ ეს ხელს შეუწყობს თვისებრივად განათლების ხარისხის გაუმჯობესებას.“

ამის ფონზე, საყურადღებოა, რომ ახალგაზრდებს აქვთ ტენდენცია, კვალიფიციურ მასწავლებელთან ურთიერთობის დადებითი გამოცდილება, განაზოგადონ მთლიანად სკოლაზე. როგორც წესი, მასწავლებლები კვლევის მონაწილეებში განათლებით დაინტერესებაში მთავარ ფიგურად სახელდება. სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები არც თუ ისე ხშირია. ამის საპირისპიროდ, დისკუსიაში არცთუ ისე იშვიათად გამოვლინდა, რომ პედაგოგი, რომელიც სპეციალისტი არ იყო, ამ საგანს ასწავლიდა ახალგაზრდებს, არა გამონაკლის შემთხვევებში, არამედ სემესტრულად და შესაძლოა წლობითაც. ამ მხრივ, გამონაკლისს არ წარმოადგენდა უცხო ენები, არც მასწავლებლები და არც „სახელმძღვანელოები არ აძლევს მოსწავლეს საშუალებას, რომ სკოლაში სწავლის დროს ან სკოლის დამთავრების მერე ალაპარაკდეს რომელიმე უცხო ენაზე.“



„ჩვენთან ინგლისურს ასწავლიდნენ. ჯერ ფრანგულით დაიწყეთ, მერე ინგლისური გავაგრძელეთ. ფრანგულის მასწავლებელი გვასწავლიდა, ჩვენთან ერთად სწავლობდა ინგლისურს.“
(ქვემო-ქართლი, ქალი, 18-25 წელი)

„გეოგრაფიას მასწავლიდა ქიმიის მასწავლებელი. არეული იყო, სხვა რამის სპეციალისტი გასწავლიდა საგანს.“
(ქვემო-ქართლი, კაცი, 18-25 წელი)

„მე როცა სკოლაში ვსწავლობდი, მხოლოდ გერმანული ენა ისწავლებოდა. მერე გადავედი ინგლისურზე. ჩვენმა მასწავლებელმა ინგლისური არ იცოდა, გერმანულის მასწავლებელი იყო. გვასწავლიდა ინგლისურს“
(სამცხე-ჯავახეთი, კაცი, 18-25 წელი)

სკოლის ადმინისტრაცია

ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფისთვის, პედაგოგების კვალიფიკაციასთან ერთად, მნიშვნელოვანია სკოლის ადმინისტრირებისა და მართვის ნაწილი, რომელშიც მოსწავლეების, მშობლებისა და პედაგოგების ჩართულობა უზრუნველყოფილი არ არის. სკოლის ადმინისტრაცია ვერ ასრულებს მკობრდინირებულ როლს დაინტერესებულ მხარეებს შორის და ვერ ახერხებს, არათუ ახალი რესურსების მოძიებას, ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფისთვის, არამედ არ აქვს არსებული რესურსების მიზნობრივი და ეფექტურ გამოყენების ინტერესი და მოტივაცია. აღსანიშნავია, რომ მსგავსი პრაქტიკა მრავლად გვხვდება ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფების თემებში, თუმცა უფრო მეტად აზერბაიჯანული სკოლებისთვისაა დამახასიათებელი.

„სკოლების ადმინისტრირების კუთხით, უფრო ბევრია ნეპოტიზმის მაგალითად აზერბაიჯანულ სკოლებში, ვიდრე სომეხი. იგივე ვთქვათ ვილაღეების გაფორმება, მასწავლებლებისთვის საათების არათანაბარი განაწილება, ახალი კადრების მიაღრთ რეზისტენტულობა და ნაკლები მიმღებლობა, ეს ყველაფერი დამახასიათებელია აზერბაიჯანული სკოლებისთვის.“

„მნიშვნელოვანია სკოლების ადმინისტრაციული კადრების ცვლილება და ეფექტური საგანმანათლებლო ლიდერების აღმოჩენა, იმისათვის რომ სკოლებმა სძლონ ფუნქციონირება იმ ჩარჩოებში, რომლებიც საჭიროა გაუმჯობესებისათვის. შემდეგ ესეთი კადრები უკვე ცდილობენ, რომ საუკეთესო მასწავლებლები მათკენ წამოიყვანონ.“

ინფორმაცია საგანმანათლებლო შესაძლებლობებზე

რესპონდენტების აღქმით, მოსწავლეებს აქვთ ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა საქართველოში არსებულ უნივერსიტეტებზეც კი, საუკეთესო შემთხვევაში ისინი ფლობენ ინფორმაციას ზოგიერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ, მაგრამ არაფერი იციან ფაკულტეტების შესახებ: არ იციან სად რა ისწავლება და რა სპეციფიკაცია აქვს ამა თუ იმ მიმართულებას. ფაქტობრივად სწავლის უმარლეს საფეხურზე გაგრძელების გადაწყვეტილებას ისე იღებენ, რომ ვერ იგებენ რა მოლოდინები უნდა ჰქონდეთ. ცხადია, გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი ფაკულტეტები, როგორცაა მაგალითად მედიცინა, რომელზეც ნათელია რას შეისწავლიან სტუდენტები. სკოლის პედაგოგები ვერ უზრუნველყოფს ამ ტიპის ინფორმაციით მოსწავლეების ინფორმირებას და იმ შემთხვევებში, როცა სკოლა არ უხსნის კარს სხვადასხვა არაფორმალური განათლების შესაძლებლობებს, ეს ინფორმაცია ვერ მიდის მოსწავლემდე. იშვიათია, რომ მოსწავლეებს უნივერსიტეტში ჩაბარებამდე მიეცეთ შესაძლებლობა ეწვიონ უნივერსიტეტებს ან უშუალოდ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებიდან მიიღონ რაიმე ტიპის ინფორმაცია. ამ შემთხვევაში, მოსწავლე იძულებული ხდება თვითონ მოიძიოს ეს ინფორმაცია ახლობლებისგან და ნაცნობებისგან ვინც სწავლობენ ამა თუ იმ ფაკულტეტზე. სწორედ ეს არაფორმალური გზა ითვლება ყველაზე ეფექტურად, პროფესიის არჩევის დროს. თუმცა, ყველა მოსწავლესა და აბიტურიენტს, არ ჰყავს ნაცნობი, ახლობელი თუ ნათესავი ვინც უნივერსიტეტში სწავლობს. ასეთ შემთხვევებში, რომლებიც არც თუ ისე იშვიათია, აბიტურიენტი ჯერ აბარებს მისაღებ გამოცდებს და შემდეგ უშუალოდ სწავლის პერიოდში იღებს გადაწყვეტილებას პროფესიის არჩევასთან დაკავშირებით.



“მე სკოლის პერიოდში კი არა, როცა ჩავაბარე მერე მივხვდი სად მოვხვდი. აბიტურიენტობის დროს, ვინმეს რომ უკითხა ჩამომითვალე 5 უნივერსიტეტიო, ვერ ჩამოვთვლიდი. ვიცოდი მხოლოდ სამედიცინო და თსუ, სხვა უნივერსიტეტების არსებობის შესახებ ინფორმაცია არ მქონდა. ამ წელს, როცა მეგობრები შევიძინე, მერე გავიგე, რამდენი უნივერსიტეტი ყოფილა, მანამდე ინფორმაცია არ მქონდა.”

(ქვემო-ქართლი, კაცი, 18-25 წელი)

„სკოლა რომ დავამთავრე ამის შემდეგ, ჩემით მოვძებნე ინტერნეტით ინფორმაცია. რომელი უნივერსიტეტი უნდა ამერჩია, რა პროგრამა.”

(ქვემო-ქართლი, ქალი, 18-25 წელი)

“მეც ვიცოდი შესაძლებლობებზე. მასწავლებლებს ვეკითხებოდი. უფროსებს ვეკითხებოდი, ვისაც ჩაბარებული ჰქონდა და სწავლობდა უნივერსიტეტში და შესაბამისად მქონდა ინფორმაცია.”

(სამცხე-ჯავახეთი, ქალი, 18-25 წელი)

სრული ზოგადი განათლების გარეშე სკოლიდან გამოსვლა (Drop out) და სწავლის არ გაგრძელების გადაწყვეტილება

სკოლიდან გამოსვლის მაჩვენებლები როგორც სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახების მქონე, ასევე სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მქონე მოსწავლეებისთვის განსხვავებულია. ქართველებში საშუალო საფეხურის დამთავრების მაჩვენებელი 69%-ია, სომხური ეთნიკური ჯგუფისთვის - 65%, განსაკუთრებით დაბალია ეს მაჩვენებელი ეთნიკურად აზერბაიჯანელი ახალგაზრდებისთვის და 33%-ს შეადგენს.²⁴

საგულისხმოა, რომ სწავლის მიტოვების გადაწყვეტილებებზე საუბრისას კვლევის მონაწილეებს აქვთ ტენდენცია, რომ ამ კატეგორიას მიაკუთვნონ როგორც სკოლიდან გამოსვლა, ასევე საშუალო განათლების მიღების შემდეგ, უნივერსიტეტში სწავლის არ გაგრძელება. ამის და იმის გამო, რომ ორივე შემთხვევას მსგავსი მიზეზები უდევს საფუძვლად, ამ ანგარიშში ერთად განვიხილავთ ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფებისთვის ამ კუთხით არსებულ ბარიერებს. სწავლის შეწყვეტის გადაწყვეტილებაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები კი შემდეგია:

ოჯახის როლი. როცა ვსაუბრობდით ოჯახის როლზე, გამოვყავით ემოციური და ფინანსური მხარდაჭერის ელემენტები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ახალგაზრდის მიერ სრული ზოგადი განათლების მიღებისა თუ უფრო მაღალ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობაზე. აღვნიშნეთ, რომ გოგონებისა და ბიჭების შემთხვევები განსხვავებულადაა აღქმული და რომ ხშირ შემთხვევაში, ოჯახები მეტ ძალისხმევას ბიჭი შვილების განვითარებაში დებენ. ამის გარდა, განვიხილეთ, რომ ბიჭები სწავლას ხშირად ტოვებენ იმის გამო, რომ დაიწყონ მუშაობა და ოჯახს ფინანსურად დაუდგენ გვერდით, მაშინ როცა გოგონებში ეს მიზეზი ძირითადად ნაადრევი ქორწინებაა.

საყურადღებოა, რომ ოჯახის მხრიდან გოგონების და ბიჭების განსხვავებულად აღქმა, ვრცელდება სწავლის უმაღლეს საფეხურზე გაგრძელების გადაწყვეტილების დროსაც. რადგან საქართველოში უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები უმეტესად თბილისშია თავმოყრილი, ოჯახებისთვის გოგონების სხვა ქალაქში ცხოვრება აღქმულია მეტად საფრთხისშემცველად ვიდრე ეს ბიჭების შემთხვევაშია. ამის, გამო მიუხედავად იმისა, რომ გოგონები სკოლის პერიოდში ხშირად ბიჭებზე კარგად სწავლობენ და მეტი მოტივაცია აქვთ, ისინი სწავლის გაგრძელების არჩევანის მიღმა რჩებიან.

”

„ბიჭებს უფრო მეტი უპირატესობა ენიჭებათ, მაგრამ გოგონებს უფრო აქვთ სურვილი, რომ სწავლა გააგრძელონ.“

(სამცხე-ჯავახეთი, კაცი, 18-25 წელი)

²⁴ სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათმშობრის ურთიერთობების ცენტრი (CCIR), სწავლის შეწყვეტის მაჩვენებლები (2013-2022 წლები), 2022

1. გარდა იმისა, რომ ოჯახს სჭირდება ფინანსების მობილიზება იმისთვის, რომ ახალგაზრდამ სწავლა უმაღლეს საფეხურზე გააგრძელოს, სიტუაციას ამძიმებს ისიც, რომ იმის გამო, რომ ზოგადი განათლების ეტაპზე, **სკოლა ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეების სათანადოდ მომზადებას**, ახალგაზრდებს სჭირდებათ დამატებით, რეპეტიტორებთან სიარული, რაც ოჯახის მხრიდან ხელშეწყობის გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელია.

მონაწილეები იხსენებენ საკუთარ და სხვების ერთეულ მაგალითებს, როცა აბიტურიენტმა დამოუკიდებლად და მომზადების გარეშე შეძლო ჩაბარება, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ეს ინდივიდუალური თავისებურებებზე, დიდი ძალისხმევასა, საკუთარ თავზე მუშაობიდან გამომდინარე ერთეული შემთხვევებია.

„მხოლოდ სკოლაში მიღებული განათლება აღარ არის საკმარისი იმისთვის, რომ უმაღლესში ჩააბარო. აუცილებელია, რომ რეპეტიტორთან იარო და თან არაფორმალურ განათლებაში მიიღო მონაწილეობა.“
(სამცხე-ჯავახეთი, ქალი, 18-25 წელი)

„სკოლაში მიღებული განათლება არ არის საკმარისი. შეიძლება რაღაც კუთხით, მოსწავლემ შეძლოს ამ განათლებით უნივერსიტეტში ჩაბარება, მაგრამ როცა უნივერსიტეტში მოხვდები, გამოჩნდება, რომ არ გაქვს საკმარისი ცოდნა და განათლება.“
(ქვემო ქართლი, კაცი, 18-25 წელი)

2. **თვითშეფასება.** ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფის წარმომადგენელი ახალგაზრდები ძირითადად, იზრდებიან და ვითარდებიან ისეთ გარემოში, სადაც ეთნიკურად ქართველებთან ურთიერთობის შესაძლებლობა ნაკლებია. საუკეთესო შემთხვევაში, სკოლის მოსწავლეები თანატოლებს ეთნიკურად დომინანტური ჯგუფიდან ხვდებიან მხოლოდ არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართვის დროს. ქართული ენის კარგი პედაგოგის ყოლის შემთხვევაშიც კი, ეთნიკურად სომეხ და აზერბაიჯანელ ახალგაზრდებს აკლიათ ქართული ენის პრაქტიკა, შესაბამისად საკუთარი აზრის დაფიქსირება სახელმწიფო ენაზე უჭირთ ან საუბრის დროს ბევრ შეცდომას უშვებენ. აქედან გამომდინარე, ფიქრი, იმაზე, რომ უმაღლესი განათლება სულ მცირე 4 წლის განმავლობაში ქართულ ენაზე უნდა მიიღონ, მათთვის ძალიან დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს, არა მხოლოდ ტექნიკურად, არამედ ემოციური თვალსაზრისითაც.

„გამოცდებისთვის არც ვემზადებოდი, არ ველოდებოდი ისეთ შედეგს, როგორც მივიღე გამოცდის შემდეგ. გრანტამდე 10 ქულა დამაკლდა, ეს რომ მცოდნოდა, მოვემზადებოდი.“
(ქვემო ქართლი, კაცი 18-25 წელი)

3. **პროფესიული განათლება** კვლევის მონაწილეებში ნაკლები პოპულარობით სარგებლობს. განათლების შესაძლებლობებზე საუბრისას, პროფესიული საფეხური ყურადღების მიღმა რჩება და მხოლოდ შეხსენების შემდეგ იწყებენ ამაზე საუბარს. უფრო მეტიც, გარშემომყოფების იმ შემთხვევებს, როცა ახალგაზრდებ სკოლიდან პროფესიული განათლების მისაღებად გამოვიდნენ, ისინი სწავლის შეწყვეტად აღიქვამენ. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ მონაწილეებს ცოდნა ნაკლებად აქვთ. ბუნდოვანია, რა მიზნით

შეიძლება, ამ საფეხურზე სწავლის გაგრძელება და შესაბამისად, სტუდენტების მხრიდან ასეთ გადაწყვეტილებებს უარყოფითი კონტექსტი ეწერება და არ ითვლება ცოდნის გაღმავების საშუალებად.



„ზოგი სკოლიდანვე ფიქრობს, რომ ჯობია კოლეჯში ისწავლოს, რომ მალევე დაიწყოს მუშაობა, ვიდრე უმაღლესში წავიდეს.“

(ქვემო ქართლი, ქალი, 18-25 წელი)

4. **ბუნდოვანება მომავალთან დაკავშირებით**, განსაკუთრებით აქტუალურია სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების შემთხვევაში. სოფელში ერთადერთი სამუშაო ადგილი არის სკოლა. ეს ნიშნავს, იმას, რომ აბიტურიენტებს ეზღუდებათ პროფესიის არჩევის შესაძლებლობები. მათ უნდა იფიქრონ არა იმაზე, რომელი პროფესიის დაუფლების უნარები და სურვილი აქვთ, არამედ იმაზეც, რამდენად შეძლებენ ამ პროფესიით დასაქმებას მომავალში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ახალგაზრდებს პედაგოგობის სურვილი ექნებათ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ადგილები შეზღუდული და როგორც წესი, უკვე შევსებულია სტაჟიანი მასწავლებლების მიერ. ქართველი ახალგაზრდების მსგავსად, ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებისთვისაც ბუნდოვანია დასაქმების მომავალი პერსპექტივა მაშინაც კი, თუ ისინი ცხოვრობენ არა მარტო პატარა ქალაქებში, არამედ დედაქალაქშიც: სამუშაო ადგილების არასაკმარისი რაოდენობა (1) არ იძლევა გარანტიას, რომ ხარისხიანი განათლების შემთხვევაშიც კი, ახალგაზრდა საკუთარი პროფესიით დასაქმდება და (2) საკუთარი პროფესიით დასაქმების შემთხვევაში ექნება ღირსებული ანაზღაურება.



„დღესდღეობით, ვინც მუშაობს თავისი განათლებით, ძალიან იშვიათად აქვს კარგი ხელფასი. დღეს კარგი ხელფასი აქვს იმას, ვისაც აქვს თავისი ბიზნესი, თუნდაც არ აქვს განათლება, მაგრამ აქვს ბიზნესი.“

(სამცხე-ჯავახეთი, ქალი, 18-25 წელი)

5. **ზოგადი უნარების გამოცდა**. როგორც აღვნიშნეთ, 2010 წლიდან, არაქართულენოვანი სკოლის კურსდამთავრებულებს, აქვთ შესაძლებლობა საქართველოში განათლება გამარტივებული წესით, კერძოდ ე.წ 1+4 პროგრამით მიიღონ. ეს გულისხმობს, რომ აბიტურიერტი საკუთარ მშობლიურ ენაზე აბარებს მხოლოდ 1, ზოგადი უნარების გამოცდას, ამით ის იღებს შესაძლებლობას, რომ ჩაირიცხოს სახელმწიფო ენაში მოსამზადებელ 1 წლიან პროგრამაზე, რის შემდეგაც განაგრძობს სწავლას საბაკალავრო საფეხურზე. აღსანიშნავია, რომ ზოგად უნარებს აღიქვამენ, არა როგორც უნარების ერთობლიობას, რომელიც საშუალო განათლების ეტაპზე მოსწავლემ უნდა განივითაროს, არამედ როგორც ჩვეულებრივ საგანს. რესპონდენტები გამოთქვამენ წუხილს, რომ სკოლაში არ ისწავლება ზოგადი უნარების საგანი, შესაბამისად, მისი გადამწყვეტი როლი უმაღლეს სასწავლო საფეხურზე გადასასვლელად, კვლევის მონაწილეებისთვის გაუგებარია:



„უნივერსიტეტში ჩასაბარებლად გვჭირდება ზოგადი უნარების ჩაბარება, მაგრამ სკოლაში სიარულის დროს არ გვაქვს ეგეთი გაკვეთილი, ეგ გვაკლია და მერე მივდივართ და ზოგად უნარებში გამოცდას ვაბარებ.“

(ქვემო ქართლი, კაცი, 18-25 წელი)

სახელმწიფო ენის შემსწავლელი პროგრამები

როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის მონაწილეები სახელმწიფო ენის პროგრამებს კარგად იცნობენ საკუთარი ან ახლობლების გამოცდილებიდან. აღსანიშნავია, რომ ფოკუს ჯგუფური დისკუსიის იმ მონაწილეებს, რომლებიც გამართულად საუბრობენ ქართულად, სახელმწიფო ენის შემსწავლელ ერთ პროგრამაში მაინც მიუღიათ მონაწილეობა. ახალგაზრდებს შორის განსაკუთრებით პოპულარულია, საშუალო განათლების საფეხურზე - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამა, ხოლო ზოგადი განათლების მიღების შემდეგ ე.წ 1+4 პროგრამა, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ისწავლება და ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამამდე, გარდამავალი საფეხურის როლს ასრულებს.

ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამა რესპონდენტების მხრიდან ერთხმად ფასდება დადაბითად. განსაკუთრებულ მოწონებას ახალგაზრდებში იმსახურებს ის, რომ პროგრამაზე სწავლის ასაკი არ არის შეზღუდული, შესაბამისად სკოლის პერიოდში მათ ჰქონდათ უფროსი ასაკის ადამიანებთან ერთად სწავლის და ურთიერთობის გამოცდილება. დადებითად ფასდება, როგორც ამ პროგრამაზე გამოყენებული წიგნები, ასევე პედაგოგების კვალიფიკაციაც.



„მე ზურაბ ჟვანიას სკოლის კურსებში ვიღებდი მონაწილეობას. მისი ფილიალები არსებობს ისეთ რეგიონებში, სადაც ცხოვრობენ ეთნიკური უმცირესობები: ნინოწმინდაში, ახალციხეში, ახალქალაქში, მარნეულში და სხვა მსგავს ქალაქებში. იქ სწავლა უფასოა. მე კვირაში ორჯერ მქონდა 3 საათიანი გაკვეთილები. ქართველი, პროფესიონალი მასწავლებლები ასწავლიდნენ. ზოგადად, ის კურსები არა მხოლოდ მოსწავლეებისთვის, არამედ უფროსი ადამიანებისთვისაც ხორციელდება.“

(სამცხე-ჯავახეთი, კაცი, 18-25 წელი)

აღსანიშნავია, რომ იმ დისკომფორტის მიუხედავად, რომელიც შესაძლოა ახლდეს დამატებით ენის კურსებზე სიარულს, როგორცაა ტრანსპორტირება/გადაადგილება რაიონულ ცენტრში და გაკვეთილების შემდეგ კიდევ 3 საათიანი მეცადინეობა, ახალგაზრდები ვერ ასახელებენ პროგრამის სუსტ მხარეებს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რადგან პროგრამა უფასოა, ეს ემოციურად აბალანსებს, მონაწილეების მხრიდან გაღებულ დროსა და იმ დამატებით რესურსებს, რასაც ისინი ენის სწავლების პროცესში დებენ. არ ისმის მთვარი კითხვა, რატომ არ შეიძლება, რომ ყველა სოფელს ან ყველა სკოლას, საგაკვეთილო პროცესში ინტეგრირებულად ჰქონდეს ეს პროგრამა?

1+4 საგანმანათლებლო პროგრამის სტატისტიკა ბოლო წლების მანძილზე, სამაგიდე კვლევის ნაწილში უკვე განვიხილეთ. კვლევის დროს საინტერესო იყო არა მხოლოდ პროგრამის წარმატებულობის კუთხით რაოდენობრივი მონაცემების გაანალიზება, არამედ უშუალო პროგრამის ბენეფიციარების დამოკიდებულებების, დაკვირვებების და შეფასებების შესწავლაც. რესპონდენტების უმეტესობამ უნივერსიტეტში სწავლა სწორე 1+4 პროგრამის საშუალებით გააგრძელა. ჯგუფურ დისკუსიაში მონაწილეობას სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, სამცხე-ჯავახეთის, ილიას, და ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტები იღებდნენ. შესაბამისად, შესაძლებლობა მოგვეცა, რომ რამდენიმე უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სახელმწიფო ენის პროგრამას დავკვირვებოდით. გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი თავისებურება, რის მიხედვითაც სტუდენტები პროგრამის წარმატებას აფასებენ:

1. დადებითად ფასდება ის სახელმწიფო ენის შემსწავლელი პროგრამები, რომლებზეც **სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის სტუდენტები ერთად სწავლობენ**. მხოლოდ მსგავსი

პრაქტიკა იძლევა შესაძლებლობას, რომ ახალგაზრდებმა მხოლოდ გრამატიკული და თეორიული ცოდნა კი არ დააგროვონ არამედ მიიღონ ქართულად საუბრის გამოცდილებაც მიიღონ.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ქართულის სწავლების მთავარი გამოწვევა არასისტემურობა იყო. ამის საპირისპიროდ, დიდი რეზონანსი აქვს ისეთ სახელმწიფო ენის შემსწავლელ პროგრამებს, რომლებზეც **ქართული ენის სწავლა დაყოფილია სხვადასხვა მიმართულებებად**: წერა, კითხვა, გრამატიკა, საუბარი და ა.შ. თითოეულ კომპონენტს ეთმობა საკმარისი დრო და ლექციის პროგრამაც ამის მიხედვით არის აგებული.
3. დადებითი უკუკავშირი აქვს იმ პროგრამებს, რომლებიც **ქართული ენის სწავლებაზე არანაკლებ მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ინტეგრაციის კომპონენტს**. მსგავსი პროგრამები მეტად ორიენტირებულია არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებზე, ექსკურსიებზე, ტურებზე და გუნდურ მუშაობაზე. სტუდენტებს ეს აძლევს ქართულ ენაზე არაფორმალური კომუნიკაციის საშუალებას, რაც ენის ათვისებისთვის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.



„მე პირადად ძალიან კმაყოფილი ვარ. იქ სკოლიდან განსხვავებით ქართულ ენას ანაწევრებდნენ ასპექტებად. თითოეულ ასპექტს უთმობდნენ მინიმუმ 2 საათს, მაგალითად ლაპარაკს, წერას, კითხვას. სხვადასხვა დროს ტარდებოდა. ჩვენთვის ეს მთავარი ფაქტორი იყო რომ ქართული ენა კარგად გვესწავლა.“

(ქვემო ქართლი, ქალი, 18-25 წელი)

„ჩემი აზრით, 1+4 პროგრამა ძალიან საჭიროა. კონკრეტულად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ძალიან მომწონს, იმიტომ, რომ ენის შესწავლის გარდა, ინტეგრაციაშიც გვეხმარება. მე ენა ვიცოდი, როცა დავიწყე სწავლა, მაგრამ პრაქტიკის ნაკლებობის გამო, მიჭირდა, გრამატიკული შეცდომები მქონდა. ახლაც მაქვს, მაგრამ შედარებით უფრო ნაკლები.“

(სამცხე ჯავახეთი, ქალი, 18-25 წელი)

4. **სახელმწიფო ენის სწავლაში გადახდილი საფასური**, რომელიც სახელმწიფო უნივერსიტეტებში ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლის ერთი წლის საფასურს უტოლდება, ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფის წარმომადგენლების მხრიდან მთავარ უსამართლობად არის აღქმული. სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სახელმწიფო ენის დაუფლებას ზოგადი განათლების ეტაპზე. ამის გამო, დგება საჭიროება, რომ საქართველოს მოქალაქემ სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსი უნივერსიტეტში ჩაბარებამდე გაიაროს. არალოგიკურია, ის ფაქტი, რომ პროგრამაზე სწავლის საფასურის დაფარვა სტუდენტის/ოჯახის პასუხისმგებლობაა.



„სტუდენტები სახელმწიფო ენის შესწავლის საფასურს იხდიან მოსამზადებელ კურსზე, ეს ხომ არ არის სწორი? შენს მოქალაქეს ხომ უნდა ასწავლიდე სახელმწიფო ენას. ეს ხომ არ არის სხვა ენის კურსი ან ბაკალავრიატის საფეხური, ეს არის მოსამზადებელი, ენის შემსწავლელი წელი.“

(ქვემო ქართლი, ქალი, 20-24 წელი)

5. **სახელმწიფო ენის შემსწავლელი პროგრამის შინაარსი**. ზოგადი განათლების საფეხურზე, მასწავლების დამოკიდებულებიდან, კვალიფიკაციიდან და ინდივიდუალური გამოცდილებებიდან გამომდინარე, ახალგაზრდები სახელმწიფო ენის ცოდნის სხვადასხვა დონეზე იმყოფებიან. ზოგიერთ უნივერსიტეტში, სახელმწიფო ენის პროგრამა არ არის დაყოფილი დონეებად. შესაბამისად, საბაზისო დონის ქართულის მცოდნე და ის სტუდენტები, რომლებიც შედარებით კარგად ფლობენ ქართულ ენას გადიან ერთსა და იმავე პროგრამას. ეს

კი იმ სტუდენტებს, რომლებმაც ქართული გარკვეულ დონეზე იციან, არასამართლიან პირობებში აყენებს. მათ უწევთ ფინანსური და დროითი რესურსის დახარჯვა ისეთ პროგრამაში, რომელიც მათთვის არ არის ეფექტური.

შინაარსის კუთხით, გამოწვევას წარმოადგენს ისიც, რომ პროგრამა არ არის მორგებული ახალგაზრდების საჭიროებებს. იგულისხმება, რომ პროგრამა ყველა მიმართულების სტუდენტისთვის არის ერთნაირი და ვერ უზრუნველყოფს პროფესიული ტერმინოლოგიის მოსამზადებელ საფეხურსაც კი. შესაბამისად, იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ქართულ ენას მხოლოდ 1 წლის განმავლობაში ითვისებდნენ, განსაკუთრებით რთული ხდება საბაკალავრო საფეხურზე პროფესიის დაუფლება.

„ჩვენ მოსამზადებელ კურსს რომ დავამთავრებდით, მერე უნდა დაგვეწყო მედიცინის შესწავლა. ერთი წლის მანძილზე ვსწავლობდით სკოლის პროგრამას. თუ სამედიცინო უნივერსიტეტში ვსწავლობთ, მაშინ მოსამზადებელზე ბავშვებს უნდა ასწავლონ ქართულენოვანი სამედიცინო ტერმინოლოგია.“
(ქვემო ქართლი, კაცი, 20-24 წელი)

„1+4 პროგრამის ცვლილებით, გაუმჯობესებით არაფერი შეიცვლება, თუ ეს არ იქნება სისტემური, ყველა საფეხურზე განხორციელებული.“



„სკოლაში რაც გავიარეთ, მოთხრობები და ასეთი რაღაცეები, ამას ვსწავლობდით მოსამზადებელზეც. ძალიან დაბალი დონის რაღაცეებს ვსწავლობდით. მიდამოს წიგნი გავიარეთ 1 წელიწადში. მეორე კლასელი ბავშვის დონის.“
(სამცხე-ჯავახეთი, კაცი, 20-24 წელი)

გამოწვევები უმაღლესი განათლების მიღების პროცესში

ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული გამოწვევები განათლების შემდგომ საფეხურებზეც ტრანსფერდება და მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლების საფეხურზე, ქართველი და ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფის წარმომადგენელი სტუდენტებისთვის, ხარისხიანი განათლების მიწოდება თანაბარ პირობებში ხდება, ხარისხისხიანი განათლების კუთხით არსებული განსხვავებები შენარჩუნებულია.

სახელმწიფოს მხრიდან, დიფერენცირებული მიდგომა და 1+4 პროგრამის საშუალებით, ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფის წარმომადგენელი სტუდენტების უმაღლესი განათლების სისტემაში ჩართვა, მნიშვნელოვნად ზრდის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას, თუმცა ვერ ახერხებს ზოგადი განათლების საფეხურზე არსებული გამოწვევების კომპენსირებას. პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები, წინარე ცოდნის არ ქონის გამო, ვერ ახერხებენ სასწავლო პროგრამების დასრულებას, დასრულების შემთხვევაში კი, მათი კომპეტენცია, კონკრეტულ პროფესიაში, ქართველ სტუდენტებთან შედარებით დაბალია.



„წინარე საფეხურებზე არსებული განსხვავებებიდან გამომდინარე, არადომინანტური ჯგუფის სტუდენტები ნაკლებად არიან კონკურენტუნარიანი და მომზადებულები იმისთვის, რომ თანაბრად მიიღონ უკვე ის განათლება რომელსაც უმაღლესი განათლების საფეხური სთავაზობს მათ.“

„სასკოლო განათლებაში გვაქვს იმდენად დიდი გარღვევა, რომ საუნივერსიტეტო განათლების საფეხურზე უკვე არათანაბარ პირობებში არიან სტუდენტები.“

ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფის წარმომადგენელი სტუდენტების ნაწილი 1+4 პროგრამის გარეშე, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ირიცხება უნივერსიტეტში, ისინი კარგად ფლობენ ქართულ ენას, თუმცა აღსანიშნავია, რომ ხარისხიანი განათლების მიღების კუთხით, ქართველ სტუდენტებთან შედარებით არათანაბარ პირობებში იმყოფებიან, ვინაიდან საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მათი ჩართულობისა და მონაწილეობის ხარისხი დაბალია.

უმაღლესი განათლების სისტემაში, ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფის წარმომადგენელ სტუდენტებს, არსებულ გამოწვევებთან ერთად ახალი პრობლემებიც ემატებათ - გარემოსთან ადაპტაცია, არასტაბილური საცხოვრებელი პირობები, ინტეგრაცია და ა.შ.

ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფის წარმომადგენელი სტუდენტებისთვის, სწავლისა და საცხოვრებლის ღირებულების გადახდა, საკმაოდ მძიმე ეკონომიკური ტვირთია, რომელიც სტუდენტებს ხშირად იძულებულს ხდის, დათანხმდნენ დაბალანაზღაურებად, სრულგანაკვეთიან სამუშაოს. დასაქმებულ სტუდენტებს ნაკლები დრო რჩებათ სწავლისა და საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართულობისთვის, რაც საბოლოო ჯამში ნეგატიურად აისახება მათ აკადემიურ მიღწევებზე და წარმატებაზე.

„საუნივერსიტეტო საფეხურზე ახალი პრობლემები ჩნდება ამ ადამიანებისათვის, ეს არის საცხოვრის პრობლემა, ახალ გარემოში ადაპტაციის პრობლემა, ეთნიკური ნიშნით მიკუთვნებულობით მცირე ჯგუფების ჩამოყალიბება“

სწავლის მიმართ მოლოდინები და რეალობა

უნივერსიტეტში სწავლისგან კვლევის ახალგაზრდებს, როგორც ჩანს განსაკუთრებული მოლოდინები არ აქვთ. უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფის წარმომადგენლებისთვის შემეცნებაზე მეტად უმაღლეს განათლებას უფრო განსხვავებული დატვირთვა აქვს ურთიერთობების კუთხით. ყველაფერი ის, რაც ზოგადი განათლების საფეხურზე უნდა იყოს ხელმისაწვდომი: ქართული ენის სწავლა, სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან კომუნიკაცია, არაფორმალური საგანმანათლებლო და არასაგანმანათლებლო აქტივობები და სოციალიზაცია, ბევრი არაქართულენოვანი სკოლის კურსდამთავრებულისთვის შესაძლებელი ხდება, მხოლოდ უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ. საგულისხმოა ისიც, რომ ბევრ ახალბედა სტუდენტს, უნივერსიტეტში სწავლის პროცესთან დაკავშირებით აქვს ძალიან მწირი, ბუნდოვანი და სუბიექტური ინფორმაცია, რომელიც ეფუძნება მათი ახლობლების პერსონალურ გამოცდილებებს. სხვა სტუდენტებისგან განსხვავებით, მათ მხოლოდ საუნივერსიტეტო გარემოსთან ადაპტირება კი არა, იმ საზოგადოებასთან ინტეგრაციაც უწევს, რომელიც ქართულად საუბრობს.

უმაღლესი განათლების საფეხურზე სირთულეები, რომლებსაც ახალგაზრდები აწყდებიან რამდენიმე კატეგორიაში ერთიანდება:

1. სწავლების შინაარსობრივი მხარე. საბაკალავრო საფეხურზე სწავლა მეტად თეორიული და ნაკლებად პრაქტიკულია, იმ პროფესიებშიც კი, რომელთა დაუფლებაშიც პრაქტიკის როლი არის გადამწყვეტი. გარდა იმისა, რომ არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის თეორიული მასალის ათვისება ქართულენოვანი ლიტერატურიდან თავის მხრივ უკვე სირთულეს წარმოადგენს, პრობლემურია პრაქტიკის გარეშე მიღებული თეორიული ცოდნის ხარისხი. გამოწვევაა ისიც, რომ განსაკუთრებით პირველ-მეორე კურსზე, სტუდენტებს ევალებათ გაიარონ ბევრი ისეთი საგანი, რომელიც მათ პროფესიას ირიბადაც კი არ უკავშირდება. რთულია ახალგაზრდა დარჩეს მოტივირებული, როცა აქვს განცდა, რომ რასაც უნივერსიტეტში ასწავლიან არ იქნება გამოსადეგი შემდეგ პროფესიულ საქმიანობაში.

„მე გეოგრაფია დავამთავრე, ახლა მინდა, რომ მასწავლებლის გამოცდაზე დავრეგისტრირდე და ჩავაბარო. მაგრამ იმ გამოცდაში კითხვები არის ქვეყნებზე. ჩვენ უნივერსიტეტში არც ერთი ქვეყანა, მისი დედაქალაქი და ა.შ არ გვისწავლია. ძალიან მაინტერესებს რატომ არის ეს კითხვები გამოცდაში. ჩემი აზრით უსამართლოა. უნივერსიტეტის დროს ვულკანებს, მიწისძვრებს და გეოგრაფიულ რაღაცეებს გვასწავლიან და გამოცდისთვის ქვეყნები უნდა ვიცოდეთ.“

(ქვემო ქართლი, ქალი, 20-24 წელი)

2. ლექტორების კვალიფიკაცია. აღსანიშნავია, რომ ლექტორების კვალიფიკაცია არ განიხილებაროგორც სწავლების მეთოდების და საგნის კომპეტენციის კომბინაცია. უკლებლივ ყველა მონაწილე აღნიშნავს, რომ ლექტორები პროფესიონალები არიან, მაშინ როცა, მათგან ხშირია არაპროფესიონალური ქცევის გამოვლენის შემთხვევები. ეს შეიძლება განპირობებული იყოს ერთი მხრივ იმით, რომ ლექტორი საკმაოდ გავლენიანი ფიგურაა სწავლების პროცესში და მონაწილეები თავს იკავებენ უარყოფითი შინაარსის კომენტარების გაკეთებისგან, მეორე მხრივ კი იმითაც, რომ სკოლის პერიოდში მათ ძალიან ბევრი უარყოფითი სწავლების გამოცდილება აქვთ პედაგოგის მხრიდან, შესაბამისად შეფასების სტანდარტი არის საკმაოდ დაბალი. ის, რომ

„არიან ლექტორები, რომლებიც არც ისე კარგად გვასწავლიან ქართულ ენას და ცუდი მაგალითები არიან სტუდენტებისთვის. მე მყავს ახლა ასეთი ლექტორი. კომუნიკაბელური ადამიანი არ არის, გაბრაზებულია. საგნის სწავლაში ეს არ მიშლის ხელს, ქართულ გრამატიკას მასწავლის და გრამატიკა აუცილებელია ქართული ენის სწავლისთვის.“

(სამცხე-ჯავახეთი, ქალი, 20-24 წელი)

ლექტორებთან ურთიერთობა უჭირთ, აღიქმება სიმკაცრედ აღიქმება და არა პედაგოგის არაპროფესიონალიზმად. იმდენად იშვიათია, რომ ახალგაზრდებისთვის დასამახსოვრებელი და თან მოულოდნელია ლექტორების გულისხმიერების შემთხვევები.

3. დისკრიმინაცია. რაოდენობრივი კვლევის მონაწილეებს ვკითხეთ, რამდენად ინკლუზიური იყო მათ საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული გარემო, მხოლოდ 29% ასახელებს, რომ გარემო სრულიად მორგებულია მათ საჭიროებებზე. რესპონდენტები სასკოლო საფეხურზე დისკრიმინაციის შემთხვევებს ნაკლებად იხსენებენ. სავარაუდოა, რომ ეს უკავშირდება იმ ფაქტს, რომ მოსწავლეების ეთნიკური წარმომავლობა სკოლაში მეტად ჰომოგენურია და ზოგადი განათლების საფეხურზე ახალგაზრდებს ნაკლებად აქვთ ურთიერთობა სხვა ეროვნული ჯგუფის წარმომადგენელ თანატოლებთან. დისკუსიის მონაწილეებს რესპონდენტებს უჭირთ დისკრიმინაციის ფაქტებზე გაბედულად და ხმამაღლა საუბარი. იმ შემთხვევებშიც კი, როცა ეს შემთხვევები ძალიან ნათელია, ახალგაზრდები ცდილობენ, იპოვონ სიტყვები, რომლებითაც რბილად გადმოსცემენ სათქმელს.

სამწუხაროდ დისკრიმინაციას ადგილი აქვს, როგორც თანატოლების, ისე პროფესორ მასწავლებლების მხრიდანაც.

ფაქტი, რომ ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდები, განსაკუთრებით დაწყებით კურსებზე ქართულად ხშირად შეცდომებით საუბრობენ. ეროვნებით ქართველი სტუდენტები, მათ მიმართ არამეგობრულ დამოკიდებულებას იჩენენ და დასცინიან. ცხადია, ეს ხდება დამაბრკოლებელი ფაქტორი, არაქართულები სტუდენტებისთვის, რომ ლექციაზე დასვან კითხვები ან დააფიქსირონ მოსაზრებები. 1+4 პროგრამის კურსდამთავრებულები, ხშირად იმსახურებენ ეთნიკურად დომინანტური ჯგუფის წარმომადგენელი თანატოლებისგან არაკეთილგანწყობას. ეს დამოკიდებულება ეფუძნება უსამართლობის განცდას, რომ სახელმწიფო ენის პროგრამის კურსდამთავრებულები ერთი გამოცდის ჩაბარების შემდეგ მოხვდნენ საბაკალავრო საფეხურზე, მაშინ, როცა მათ ამისთვის 4 გამოცდის ჩაბარება დასჭირდათ.

ლექტორების მხრიდან დისკრიმინაცია, კიდევ უფრო ტრავმატულია იმ მხრივ, რომ პედაგოგი ამ შემთხვევაში არის ერთვარი ავტორიტეტიც და ამასთანავე, უწევს სტუდენტების ცოდნის დონის შეფასება. აღსანიშნავია, რომ დისკრიმინაციას ადგილი ხშირად სრულიად ახალი სტუდენტების მიმართ აქვს, მხოლოდ არაქართული გვარის წაკითხვისასაც კი. თუმცა, ეს არ არის მხოლოდ ცალკეული და ერთეული შემთხვევები.



„სამწუხაროდ და საუბედუროდ, ჩვენთან დისკრიმინაციის პრობლემაც არის. სოციალურ ქსელებში, თუნდაც უნივერსიტეტშიც ხანდახან ჩვენგან უმეტესობა 1+4 პროგრამაზე აბარებს. ეთნიკურად ქართველები ფიქრობენ, რომ ჩვენ უნივერსიტეტში უფრო ადვილად ჩავაბარეთ, ვიდრე მათ.“

(ქვემო ქართლი, ქალი, 20-24 წელი)

„ლექტორმა დამტოვა დამატებითი გამოცდაზე, მხოლოდ იმის გამო, რომ სომეხი ვიყავი, თან ერთადერთი ჯგუფში. ეს ლექტორი ლექციას გვიკითხავდა, სემინარს სხვას ვაბარებდით. კოლოკვიუმის თუ შუალედურის დროს შემოვიდა და ქართული არ იცი და გარეთ გადიო. ექიმი ვერ გამოხვალო. მან საერთოდ არ იცოდა, სემინარს როგორ ვაბარებდი, ჩემს ქართველ ჯგუფებთან შედარებით მაღალი ქულებიც რომ მქონდა. პირდაპირ გამომავლო გარეთ და დამატებით გამოცდაზე დამიბარა, შენ ცალკე უნდა ჩააბარო გამოცდა ჩემთანო, თანაც ზეპირი და არა წერიითი გამოცდა.“

„ზოგჯერ შეურაცხყოფას აყენებენ ეთნიკურ უმცირესობებს. პირველ კურსზე რომ ვსწავლობდი, ერთი ლექტორი მყავდა, ყველაფერს სწორად ვაკეთებდით, დავალებას კარგად ვასრულებდით, მაგრამ გვეუბნებოდა, რადგან სომხები და აზერბაიჯანელები ხართ, არ ნიშნავს რომ მაღალი ქულა უნდა დაგიწეროთო.“

(სამცხე-ჯავახეთი, კაცი, 18-25 წელი)

„ეს ლექტორი ქართველებისგან კითხულობს დავალებებს, ეუბნება რა არის სწორი რა არ არის, მაგრამ ჩვენ საერთოდ არ გვაქცევს ყურადღებას. თითქოს ჩვენ ლექციაზე არ ვართ და საერთოდ არ ვმონაწილეობთ ლექციაში.“

(ქვემო ქართლი, ქალი, 18-25 წელი)

დასკვნა და რეკომენდაციები

ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფის წარმომადგენელ ახალგაზრდებს სწავლის პროცესში უამრავი ბარიერი ექმნებათ. ამ გამოწვევების კვლევასა და ანალიზს მივყავათ იმ დასკვნამდე, რომ მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ განათლების მიღება არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ერთმანეთისგან დამოუკიდებელი საფეხურების მექანიკურ ჯამად. განათლების პროცესი სისტემურია და მასში თითოეული კომპონენტი თანაბრად საკვანძო და კრიტიკულია.

კვლევითი პროექტის თავდაპირველ მიზანს წარმოადგენდა პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დონეებზე ახალგაზრდების გამოწვევების შესწავლა. თუმცა, ჯერ კიდევ სამაგიდე კვლევის ეტაპზე გამოვლინდა, რომ შეუძლებელი იქნებოდა უმაღლესი საფეხურის განხილვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული დაბრკოლებებისგან დამოუკიდებლად.

სამაგიდე კვლევამ, განსაზღვრა ის საკვანძო მიმართულებები და ასპექტები, რისი შესწავლაც განსაკუთრებით საინტერესო იქნებოდა მთლიანი კვლევის პროცესში. ჯგუფური დისკუსიისას გამოაშკარავდა ძირითადი გარემოებები, რაც ხელს უშლის ეთნიკურად სომეხ და აზერბაიჯანელ ახალგაზრდებს, ჰქონდეთ წვდომა ხარისხიან განათლებაზე. რაოდენობრივი კომპონენტის მეშვეობით, შევძელით, რომ პირველადი დაშვებები რაოდენობრივად გავვემტკიცებინა, ექსპერტულმა ინტერვიუებმა, კი უზრუნველყო, რომ მაქსიმალურად გამოგვერიცხა მკვლევრის სუბიექტური დამოკიდებულება. კომპლექსურად კვლევის სხვადასხვა მეთოდის კომბინაციაში გამოყენებამ შესაძლებელი გახადა რომ საკვლევო საკითხის ბევრი პერსპექტივიდან დაკვირვება და შესწავლა.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდებისთვის განათლების ბარიერების დასაძლევად, საჭიროა კომპლექსური მიდგომის გამოყენება. არადომინანტური ჯგუფების განათლების საკითხი, არ შეიძლება და ვერ იქნება დამოუკიდებელი საქართველოში განათლების სფეროს განვითარებისგან.

ამ კვლევის ანალიზის საფუძველზე შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

არაქართულენოვანი სკოლები წარმოადგენს საქართველოს განათლების სისტემის არადამოუკიდებელ ერთეულს. ეთნიკური უმცირესობებისთვის ხარისხიან განათლებაზე წვდომის გაზრდის მიზნით, აუცილებელია, რომ რეფორმები, რომლებიც ტარდება განათლების სისტემაში ზოგადი განათლების მიმართულებით ვრცელდებოდეს არაქართულენოვან სკოლებზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ცვლილებები განხორციელდეს შემდეგი მიმართულებით:

- სახელმწიფო ენის სწავლება. ქართული ენა ყველა არაქართულენოვან სკოლაში უნდა ისწავლებოდეს სისტემურად და სიღრმისეულად. აუცილებელია, რომ პედაგოგი იყოს ქართულის სპეციალისტი, რომ ზოგადი განათლების ეტაპზე მოსწავლეებმა შეძლონ კომუნიკაციის და საშუალო დონეზე მაინც ენის ათვისება.
- ახალი პედაგოგების შერჩევის ხოლო არსებული პედაგოგების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება. საგნებს სკოლაში უნდა ასწავლიდეს დარგის პროფესიონალი. პედაგოგები უნდა იყენებდნენ თანამედროვე და ინკლუზიურ სწავლა-სწავლების მიდგომებს.

	<ul style="list-style-type: none"> • ზოგადი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხიანი სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები სასწავლო წიგნებს არ იღებდნენ სხვა ქვეყნების, მაგ. სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობების დაფინანსებითა და ძალისხმევით. სახელმძღვანელოები უნდა შეესაბამებოდეს ქართულენოვანი სკოლების სტანდარტებს, რომ უზრუნველყოფილი იყოს სტანდარტიზაცია საქართველოში არსებულ ყველა სკოლაში • სკოლის დირექტორების და ადმინისტრაცია პოლიტიკა. ახალგაზრდების კვლევის შედეგად, გამოვლინდა არაფორმალური განათლების საკვანძო როლი ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფის მიერ ენის სწავლასა და მათ ინტეგრაციაში. მნიშვნელოვანია, რომ არასამთავრობო სექტორის მიერ შემოთავაზებულ აქტივობებს, სკოლა აღიქვამდეს როგორც შესაძლებლობას და მოსწავლეებს არ ეზღუდებოდათ არჩევანის საშუალება ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების კუთხით.
<p>შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი</p>	<ul style="list-style-type: none"> • გააზრებული უნდა იყოს სხვადასხვა როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო აქტორებთან ურთიერთთანამშრომლობის მნიშვნელობა მრავალფეროვანი წარმომავლობის მქონე საქართველოს მოქალაქეების მშვიდობიანი და ეფექტური თანაცხოვრების მიზნით; • სახელმწიფო ენის შემსწავლელი პროგრამები უნდა იყოს განახლებული და ახალგაზრდებს აძლევდეს შესაძლებლობას არსებული ცოდნის დონის ბაზაზე დააშენოს ქართული ენის სიღრმისეული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა; • სახელმწიფო ენის შემსწავლელი პროგრამები უნდა იყოს სტანდარტიზირებული და ყველა უნივერსიტეტი სტუდენტს უნდა სთავაზობდეს ერთნაირ პროგრამას • სახელმწიფო ენის შემსწავლელი პროგრამები უნდა იყოს მორგებული ახალგაზრდების საჭიროებებს; • სახელმწიფო ენის შემსწავლელი პროგრამები უნდა უზრუნველყოფდეს არა მხოლოდ ენობრივი ცოდნის დაგროვებას, არამედ ინტეგრაციასაც;
<p>არასამთავრობო ორგანიზაციებს</p>	<ul style="list-style-type: none"> • ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფების განათლების თვალსაზრისით, კვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ განსაკუთრებით ეფექტურია არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობები. მიუხედავად სირთულეებისა, მნიშვნელოვანია, ეფექტური მოლაპარაკებების წარმოება როგორც ცენტრალურად, სამინისტროების დონეზე, ასევე ადგილობრივ აქტორებთან და სკოლების ადმინისტრაციასთან. • მნიშვნელოვანია, რომ დაიგეგმოს აქტივობები არა მხოლოდ მოსწავლეებისა და ახალგაზრდებისთვის, არამედ სკოლის დირექტორის, ადმინისტრაციის და პედაგოგების გაძლიერების და განვითარების კუთხით.
<p>უნივერსიტეტების ადმინისტრაციას</p>	<ul style="list-style-type: none"> • სახელმწიფო ენის შემსწავლელი პროგრამების დახვეწის მიზნით, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა და საუკეთესო პრაქტიკების (ე.წ. Best Practice) ერთმანეთისთვის გაზიარება

	<ul style="list-style-type: none"> • აუცილებელია სწავლა-სწავლების პროცესში ჩართული ყველა მხარის, განსაკუთრებით კი ლექტორების და პროფესორ მასწავლებლების მომზადება მრავალფეროვანი ჯგუფის სწავლების მიმართულებით; • უნივერსიტეტში უნდა არსებობდეს უსაფრთხო და სანდო მიმართვის მექანიზმი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ადგილი ჰქონდა ლექტორის მხრიდან სტუდენტისთვის არასათანადო მოპყრობას;
სკოლის ადმინისტრაციას	<p>კვლევის მიგნებებზე დაყრდნობით, მნიშვნელოვანია სკოლაში აღმოიფხვრას შემდეგი გამოწვევები:</p> <ul style="list-style-type: none"> • საგნის სასწავლებლად უნდა შეირჩეს პროფესიონალი პედაგოგები; განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ქართული ენის პედაგოგის შერჩევას; • სასწავლო პროცესი უნდა იყოს ორიენტირებული მოსწავლეზე და მოსწავლის საჭიროებებზე; • სკოლამ უნდა უზრუნველყოს მოსწავლისთვის ქართული ენის სწავლება; • სკოლამ უნდა გამოიჩინოს მზაობა, სხვადასხვა საგანმანათლებლო და შემეცნებით აქტივობებში ჩართვის კუთხით, მიკერძოების გარეშე; • სკოლის დირექტორი და ადმინისტრაცია უნდა იყვნენ საქმის კურსში და მზად იმისთვის, რომ მხარდაჭერა აღმოუჩინონ მოსწავლეს, დაბრკოლებების შემთხვევაში.

განვითარებისა და ჩართულობის პლატფორმა (DEP)

info@dep.ge www.dep.ge